

კრიტიკული საკითხავი

განათლების პოლიტიკის
შესახებ

თარგმანების კრებული

© ფრიდრიხ ებერტის ფონდი



პუბლიკაცია მომზადდა ფრიდრიხ ებერტის ფონდის მხარდაჭერით. პუბლიკაციაში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლოა არ ემთხვეოდეს ფრიდრიხ ებერტის ფონდის მოსაზრებებს. ფრიდრიხ ებერტის ფონდის მიერ მხარდაჭერილი ნებისმიერი პუბლიკაციის კომერციული მიზნებით გამოყენება, იკრძალება ფონდის წერილობითი ნებართვის გარეშე.

ფრიდრიხ ებერტის ფონდი
სამხრეთ კავკასიის რეგიონული ოფისი
ნ. რამიშვილის ჩიხი1, #1, 0179
თბილისი, საქართველო

კრიტიკული საკითხავი
განათლების პოლიტიკის შესახებ

თარგმანების კრებული

2022

თარგმანების კრებული მომზადდა პროექტის „განათლება და სოციალური სამართლიანობა“ ფარგლებში, რომელიც განხორციელდა კრიტიკული პოლიტიკის პლატფორმის (Platforma.ge) მიერ, ფრიდრიხ ებერტის ფონდის მხარდაჭერით.

მთარგმნელთა ჯგუფი: თეკლა ზუხბაია, თეონა რეხვიაშვილი, ანა ლომიძე, ლაშა ქავთარაძე, მარიამ შაიჭაძე, გიორგი ხასაია.

ენობრივი რედაქტორი: თამარ შაიჭაძე

გამოცემაზე პასუხისმგებელი პირი: თორნიკე შევარდნაძე

დაკაბადონება და გარეკანის დიზაინი: თამარ ხურცილავა

© ფრიდრიხ ებერტის ფონდი

© კრიტიკული პოლიტიკის პლატფორმა

კრებული ვრცელდება მხოლოდ ელექტრონული სახით.

სარჩევი

ხანისხიანი საჯარო საბანკანო-საბანკო სისტემის გაკეთებულ დამოკიდებულ
მომავალი არ აქვს

ვენდი ბრუნდი 7

მთარგმნელი თეკლა ზუზუაია.

დამოკიდებულებად გართული, კომპიუტერული უმაღლესი განათლება

ჯონ ვინი 14

მთარგმნელი თეონა რეხვიაშვილი.

საკე-სკოლა: სტუდენტები

ედუარდო გარსია 21

მთარგმნელი გიორგი ხასაია.

უმაღლესი განათლება სიყვარულსა და საგანმანათლებლო უნდა

მესახეობა

ენდონ ბარნეტი 35

მთარგმნელი თეონა რეხვიაშვილი.

სჭირდება თუ არა კავშირები მასობრივი უმაღლესი განათლება?

გაიქ ვინი 45

მთარგმნელი თეონა რეხვიაშვილი

უმაღლესი განათლება და გზადი უთანასწორობა

სიმონ გარსია 52

მთარგმნელი მარია პაიჭაძე

პაოლო უჩიჩიას იდეები ღვინაზე ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც
ოდესლას

პიჭვი გაქდაკენი 69

მთარგმნელი ლაშა ქავთარაძე.

საით მიდის გეგნიეკება? ინტევიუ პროფესორ ჯორჯო აბაგბენტან
ანდრეა პენჯოში 86

მთარგმნელი ანა ლომიძე.

ხარისხიანი საჯარო საგანმანათლებლო სისტემის გარეშე დემოკრატიას მომავალი არ აქვს

ავტორი: ვენდი ბრაუნი

თარგმნა თეკლა ზუხბაიამ.

ბერკლის პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი, ვენდი ბრაუნი, ერთ-ერთი იყო ფაკულტეტის 200-ზე მეტ წარმომადგენელს შორის, ვინც 4 მარტს საკრამენტოში ჩავიდა. მსვლელობაზე “მივცეთ შტატს განათლება”, მან პუბლიკას სიტყვით მიმართა:

არც ისე დიდი ხნის წინ კალიფორნიის საჯარო განათლების სისტემა საერთაშორისო მასშტაბით ერთ-ერთი საუკეთესო იყო. მეოცე საუკუნის განმავლობაში კალიფორნიელებისთვის ხარისხიანი და საჯარო დაწყებითი, საშუალო და მრავალსაფეხურიანი უმაღლესი საგანმანათლებლო სისტემა - დაწყებული, საშუალო სკოლის

კურსდამთავრებულთათვის, კოლეჯებზე გარანტირებული ხელმისაწვდომობით და დამთავრებული შესანიშნავი კვლევითი ინსტიტუტებითა და პროფესიული სასწავლებლებით - უმაღლეს პრიორიტეტს წარმოადგენდა.

მას მერე, რაც შტატმა აჩვენა, რომ შესაძლებელი იყო მასობრივი ხელმისაწვდომობა ხარისხიან განათლებაზე, რამდენიმე ათეულ წელში საკუთარ მიღწევებზე უარის თქმას მიჰყო ხელი. ეს უკუსვლა, 1978 წელს მიღებული “დადგენილება N13“-ის რატიფიცირებით დაიწყო, რამაც ჩვენი დაწყებითი და საშუალო სკოლების საგანმანათლებლო ხარისხის პროგრესული გაუფასურება გამოიწვია და შედეგად, გადავსებული საკლასო ოთახები, არასაკმარისი ინვენტარი და სასკოლო სახელმძღვანელოები, არაადეკვატური ხელფასები და შვებულებები მივიღეთ, რამაც აქამდე გამორჩეულად წარმატებული საშუალო განათლების სისტემა ნანგრევებად აქცია.

საჯარო განათლების და საჯარო სექტორის სხვა ინსტიტუტთა განადგურება შტატის სიღარიბის შედეგი არ არის. დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ფინანსურმა და საბინაო კრიზისებმა, უმუშევრობამ, რეცესიამ და უძრავი ქონების გირავნობასთან დაკავშირებულმა სირთულეებმა ამ პროცესში თავიანთი როლი ითამაშეს. მაგრამ, ამ დროისთვისაც კი, კალიფორნია აშშ-ს მთლიანი შიდა პროდუქტის 1/6-ს აწარმოებს და სუვერენულ სახელმწიფოდ რომ წარმოგვედგინა, ის ამ მაჩვენებლით მსოფლიოს პირველ ათეულში შევიდოდა.

ბუნებრივი და ადამიანური რესურსებით, ინდუსტრიებით და მდიდრებით მდიდარი კალიფორნიისთვის, სავსებით შესაძლებელია უმაღლესი ხარისხის საგანმანათლებლო სისტემის ფინანსური უზუნველყოფა. მიუხედავად ამისა, ჩვენმა დაჭაობებულმა პოლიტიკურმა სისტემამ (უმცირესობის მმართველობამ), ანტიდაბეგვრითმა პოლიტიკურმა კულტურამ, სახელმწიფო საბიუჯეტო პრიორიტეტის ამოყირავებამ - ყველა ამ ბემოთ ჩამოთვლილმა ფაქტორმა, საკუთარი წვლილი შეიტანა საჯარო განათლების სისტემის წარუმატებელ, საბითუმო მალაზიად ჩამოქვეითებაში.

მართლაც, ამ გამორჩეული საგანმანათლებლო სისტემის ჩამოშლაში გაცილებით მეტი დანაკარგია, ვიდრე ნავთობით, უძრავი ქონებით, სილიკონ ველით, საბანკო სისტემით, პოლივუდით, სასოფლო სამეურნეო ბიზნესით გამდიდრებაზე გაცემული არაგონივრული ნებართვებითა თუ სკოლების გაღარიბების ხარჯზე არაპროპორციულად გაზრდილი პენიტენციური სისტემაა. ეს უფრო მეტია, ვიდრე იმ ეკონომიკური ძრავის სანვავისგან დაცლა, რომელმაც მთელი გასული საუკუნის განმავლობაში შტატი ინოვაციებითა და განვითარების ახალი შესაძლებლობებით მოამარაგა. აქ უნდა ითქვას ისიც, რომ განათლებული მოქალაქის გარეშე დემოკრატია შეუძლებელი პროექტია.

ხარისხიანი საჯარო საგანმანათლებლო სისტემის გარეშე, ჩვენ, მოქალაქეები, ვერ გავიზარებთ, ვერ მოვიხელოებთ - რომ აღარაფერი ვთქვათ კონტროლის განწევაზე - ძალაუფლების იმ

სისტემებს, რომლებიც გვმართავენ. ასეთი სისტემის გარეშე უშინაარსოდ რჩება თავისუფლებისა და თანასწორობის დაპირება, ინდივიდუალურ შესაძლებლობათა განვითარება და რეალიზება, არათანაბარი სასტარტო პირობების დაძლევა ბავშვებში, დასახულ მიზანთა მიღწევა მოზარდებში, კონტროლი საკუთარ ბედისწერაზე ან განვითარების არჩეულ კურსზე. და რაც მთავარია, შეუძლებელი ხდება სამოქალაქო თვითმმართველობა, სხვა სიტყვებით - დემოკრატია.

ურთიერთდაკავშირებულ და კომპლექსურ სამყაროში, სამყაროში, სადაც მედია უფრო და უფრო მეტ ძალაუფლებასა და გამოცდილებას იხვეჭს, მოვლენათა და იდეათა ფორმირებაში, დემოკრატიის სიმყარეს განაპირობებენ არა ტექნიკური ინსტრუქციები, რომელთა მიხედვითაც რესურსწარმეული სკოლები ხელმძღვანელობენ, არადადამთავრებელი საფეხურის ორ წლამდე კოლეჯის სამ წლამდე შემცირება ან პროფესიული სასწავლებლების გაფართოება, არამედ ისეთი საგანმანათლებლო სისტემა, რომლის დახმარებითაც მომავლის მოქალაქეებმა სამყაროს კომპლექსურობის აღქმა და მასში ორიენტირება უნდა ისწავლონ.

დემოკრატიის გადარჩენისა და განვითარებისთვის მოქალაქეებმა უნდა შეძლონ, აღიქვან და გააანალიზონ ძალაუფლების ის სისტემები, რომლებიც ჩვენი ცხოვრების ფორმირებას ახდენენ. მათ უნდა შეძლონ თანამედროვეობის შესაძლებლობისა და ნაკლო-

ვანებების გააზრება და პრინციპული მოსაზრებების ფორმირება, რომლებიც მათ ამ სამყაროში ორიენტირებად უნდა მოევლინონ.

მოქალაქეებმა უნდა გააანალიზონ წერილობით ან ბეპირად გამოთქმული არგუმენტები, ჟურნალისტური მოსაზრებები, ვიზუალური ხატები და ხმოვანი სიგნალები... განარჩიონ გონივრული სენსაციურისგან, სერიოზული გამარტივებულისგან, კარგად დასაბუთებული – ყურმოკრულისგან.

თუ ვამტკიცებთ, რომ ეს შესაძლებლობები დემოკრატიული მოქალაქეობის განუყოფელი ნაწილია, ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ თანამედროვე, მზარდად კომპლექსულ სამყაროში მათზე მოთხოვნა კიდევ უფრო გაზრდილია და ხარისხიანი საჯარო განათლება ამ შესაძლებლობათა ათვისებაში საკვანძო როლს ასრულებს. მომავლის ხარისხიანი საჯარო საგანმანათლებლო სისტემის გარეშე მომავალი დემოკრატიისთვის არ იქნება.

ხარისხიანი საჯარო საგანმანათლებლო სისტემის გარეშე, ჩვენ ვრჩებით იმ უფსკრულის პირისპირ, რომელიც განათლებულებს განათლების მიღმა დარჩენილთაგან ჰყოფს. ეს დაყოფა იმეორებს იმ უთანასწორობას, რომელიც მდიდრებსა და ღარიბებს შორის არსებობს და აძლიერებს პირველის ძალაუფლებას მეორის დაუძლურების ხარჯზე. ეს კი დემოკრატია აღარ არის. ეს პლუტოკრატიაა.

ხარისხიანი საჯარო საგანმანათლებლო სისტემის გარეშე, ჩვენ ვრჩებით მოსახლეობის პირისპირ, რომელიც მხოლოდ დასაქმებისთვის აუცილებელი უნარებითაა აღჭურვილი, ნაცვლად იმ უნარებისა, რომლებიც მას სამოქალაქო და პოლიტიკური ცხოვრების გააზრებისა და მასში მონაწილეობის შესაძლებლობას მისცემდა. ეს დემოკრატია აღარ არის. ეს ოლიგარქიაა.

მომავლის ხარისხიანი საჯარო განათლების გარეშე, ჩვენ ვრჩებით მოსახლეობის პირისპირ, ვისი ფრუსტრაციაც მანიპულირების ობიექტია; ვისი მობილიზებაც ცრუ მტრის ხატისა და ცრუ დაპირებების მეშვეობითაც ხერხდება. ეს დემოკრატის საპირისპირო სისტემების - დესპოტიზმის ან სულაც ფაშიზმის - სახიფათო საშენი მასალაა.

ამრიგად, უარი, რომელიც კალიფორნიამ საგანმანათლებლო სისტემაში ინვესტიციაზე განაცხადა, არა მხოლოდ იმ დაპირებას არღვევს, რომელიც ყველა საჭირო უნარით აღჭურვილი მოსწავლის პოტენციურ წინსვლაზე გაიცა; ის არა მხოლოდ სანჯავის გარეშე ტოვებს სიახლისა და ინოვაციის ძრავს, რომელმაც მეოცე საუკუნეში კალიფორნიის სიდიადე განაპირობა: ის უშუალოდ დემოკრატის ფუნდამენტს - დასაბუთებული ანალიზისა და ინფორმირებული განსჯის უნარებით აღჭურვილ, განათლებულ მოქალაქეს - უთხრის ძირს.

კალიფორნიამ ხელახლა უნდა აიღოს პასუხისმგებლობა პირველი კლასის K-12 საგანმანათლებლო სისტემასა და უმაღლესი განათლების გენერალური გეგმის განვითარებაზე. რაც შეიძლება მალე უნდა მოვეგოთ გონს და ყველაფერი ვიღონოთ იმისათვის, რომ მსოფლიოში აღიარებული საჯარო საუნივერსიტეტო სისტემა შევინარჩუნოთ. და ასე უნდა მოვიქცეთ არა მხოლოდ იმიტომ, რომ განათლება ადამიანებს სიღარიბის დაძლევაში ეხმარება, ან ის ათანაბრებს შესაძლებლობებს, ამცირებს კრიმინალსა თუ ძალადობრივი შემთხვევების მასშტაბებს, არამედ იმიტომაც, რომ ის დემოკრატიას სინამდვილედ აქცევს.

მივცეთ შტატს განათლება. Sí se puede.

დემოკრატიულად მართული კოოპერატიული უმაღლესი განათლება

ავტორი: ჯოს ვინი

თარგმნა თეონა რეხვიაშვილმა.

უმაღლესი განათლების სისტემა მცდარი ნეოლიბერალური რეფორმების შედეგად ინგრევა. შესაძლებელია, კოოპერატიული, თანამესაკუთრეობისა და თანამმართველობის პრინციპებზე აგებული უნივერსიტეტები იყოს პასუხი?

OpenDemocracy ერთ-ერთია იმ რამდენდენიმე მნიშვნელოვანი ფორუმიდან, რომელიც დიდი ბრიტანეთის უმაღლესი განათლების შესახებ კრიტიკული დისკუსიებისთვის არის განკუთვნილი - მთელი რიგი სტატიებით ნეოლიბერალური რეფორმების გავლენების შესახებ, რომლებიც ქვეყნდება აქ და სხვა გვერდებზე. სულ ახლახანს, მარინა უორნერმა და მაიკლ ბელიმ გააკეთეს მწვავე კომენტარები დიდი ბრიტანეთის უმაღლესი განათლების სისტემის

„დამახინჯებასა“ და „თვითმკვლელობაში თანამონაწილეობაზე“ მითითებით. მიუხედავად თავისი მომცრო ზომისა, ბრენა ბანდარის London Review of Books-ისთვის დაწერილმა ბლოგმა ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ბლოგში ის ასკვნის:

ჩვენი ყველას საერთო ინტერესებში შედის მხარი დავუჭიროთ სტუდენტებს, აკადემიურ და დამხმარე პერსონალს, შტატგარეშე დამლაგებლებს და მათ, ვინც იბრძვიან უნივერსიტეტის მფლობელობის ფორმის შეცვლისთვის, მმართველობის დემოკრატიული ფორმების უკეთ გამოსაყენებლად, იმ სოციალური საქონლის შესაქმენლად და გადასანაწილებლად, რომელსაც კოლექტიურად ვაწარმოებთ, მთავრობის ამჟამინდელი პოლიტიკისა და მენეჯმენტის სტრატეგიების მიუხედავად.

ანალოგიურად, ენდრიუ მაკგეტიკანმა Arena-ში აღნიშნა:

ხშირად მეკითხებიან – „რა შეიძლება გაკეთდეს ამ დროს?“ ჩემი პასუხია – თუ მეცნიერები არ გამოფხიზლდებიან და არ შეენინააღმდეგებიან დემოკრატიის ზოგად დეფიციტს, რომელიც თავიანთი ინსტიტუციებიდან მომდინარეობს და სანამ არ გვეყოლება მეტი ჟურნალისტი, რომელიც ამ საკითხებს როგორც ლოკალურ, ისე ეროვნულ დონეზე განიხილავს, იქამდე, ძალიან ცოტა რამ შეიძლება გაკეთდეს. ჩვენ რაღაც უფრო ღრმა კრიზისის პირას ვართ, ვიდრე ამას სწავლის ყოველკვირეული საფასურის დონის შესახებ არსებული დებატები გვიჩვენებს; ინსტიტუციებსა და სექტორს

შეეძლებათ ისეთი ნაბიჯების გადადგმა, რომელთა გაუქმებაც, რთული, თუ არა შეუძლებელი, შეიძლება აღმოჩნდეს – იქნება ეს შეთანხმებები ელიტის დამოუკიდებლობასა თუ საქველმოქმედო სტატუსის შეკვეცაზე კერძო ფინანსებზე უკეთესი ხელმისაწვდომობისათვის.

ბოლო 12 თვის განმავლობაში სამ კონფერენციას ვესწრებოდი, რომლებზეც ყველა სფეროს აკადემიკოსებს დაუთმეს სივრცე ამ თემებზე სასაუბროდ: აკადემიური ცხოვრების მართვა ლონდონის ეკონომიკის სკოლაში (LSE); აკადემიური იდენტობები ღურჭაში და უნივერსიტეტები ცოდნის ეკონომიკაში – ოკლენდში. ეჭვგარეშეა, რომ აკადემიკოსები გაღიზიანებულები არიან. ხანდახან, ბრალდება ინდივიდუალიზებულია: ძალიან ბევრი მენეჯერი და ადმინისტრატორია! როდესაც ინდივიდუალიზებული არაა, მაშინ პოლიტიზებულია: პრობლემა მდგომარეობს ნეოლიბერალიზმში, ან უფრო ზუსტად – „უკიდურეს ნეოლიბერალიზმში.“ საბოლოო პასუხი იმაზე თუ „რა შეიძლება გაკეთდეს ამ დროს?“ ხშირად მანიფესტის ან ესეების კრებულის სტრიქონებს შორისაა – საფოსტო სია ან ვებსაიტი საუბრის გასაგრძელებლად ან თუნდაც ჩვენი მდგომარეობის აუტანლობის საკვლევ მონაცემებად საქცევად, რათა ეფექტურად აღინეროს ჩვენი ცხოვრების გაუარესება.

სტუდენტები უფრო ბუნებრივად და თამამად საუბრობენ თავიანთი უნივერსიტეტების მმართველობის საკითხში ფუნდამენტური ცვლილებების აუცილებლობაზე. ამაზე საუბრობენ უნივერსიტეტების

ოკუპაციისას - სულ ახლახანს, ლონდონის საუნივერსიტეტო კოლეჯში (UCL), გოლდსმიტში, ლონდონის სამეფო კოლეჯში (KCL), ლონდონის ეკონომიკის სკოლაში (LSE), ლონდონის ხელოვნების უნივერსიტეტსა (UAL) და ამსტერდამში - ისინი აგრეთვე მოითხოვენ დემოკრატias, როგორც თავისუფალი უნივერსიტეტისთვის აუცილებელ ელემენტს.

ჩვენ შეგვიძლია ვიდავოთ კვლევის სრულყოფის სქემის ქმედუნარიანობის წინააღმდეგ ან აკადემიური შრომის პრეკარიულობაზე; დაფინანსების შეწყვეტასა და უმაღლესი განათლების მარკეტიზაციაზე, მაგრამ თუ ჩვენ გვინდა უნივერსიტეტები, რომლებში მუშაობასაც ვისურვებდით, აუცილებლად უნდა მოვახდინოთ მფლობელობისა და მმართველობის წესების იმგვარი რეფორმირება, რათა პირველ რიგში, უზრუნველყოფილი იყოს გადანყვებილებების დემოკრატიული წესით მიღება. ერთ-ერთი ასეთი გამოსავალია თანამესაკუთრობრივი და თანამმართველობითი კოოპერატივები უმაღლესი განათლებისათვის: კოოპერატიული უნივერსიტეტები.

აკადემიკოსები და ინდივიდები კოოპერატივის მოძრაობიდან 2010 წლიდან ფიქრობენ ამ იდეაზე, რომელიც ნაწილობრივ შთაგონებულია უახლოეს წარსულში, დიდ ბრიტანეთში 800 სკოლის კოოპერატივებად ქცევით. ასევე იმითაც, რომ კოოპერატივის მოძრაობაში განათლების ხანგრძლივი ტრადიცია არსებობს, რომელსაც სხვადასხვა დროსა და ადგილას, სხვადასხვა ფორმა

მიუღია. როდესაც მთავრობამ შეკვეცა კეთილდღეობის სახელმწიფოს მორიგი ნაწილი, კოოპერატივის მოძრაობა ხშირად იყო იქ, რათა „უკეთ გამოეყენებინა მმართველობის დემოკრატიულ ფორმები, იმ სოციალური საქონლის შესაქმნელად და გადასანაწილებლად, რომელსაც კოლექტიურად ვაწარმოებთ.“

მე-19 საუკუნის შუა პერიოდიდან, „კოოპერატორებმა“ ააგეს წევრების საკუთრებაში მყოფი ორგანიზაციებისგან შემდგარი მსოფლიო მასშტაბის სოციალური მოძრაობა, რომელიც დაფუძნებულია საკუთრების კოლექტიური ფლობისა და დემოკრატიული მმართველობის პრინციპებზე. ღია წევრობის, ავტონომიისა და დამოუკიდებლობის, სხვა კოოპერატივების მიმართ სოლიდარობისა და საზოგადოებაზე ზრუნვასთან ერთად, განათლება ყოველთვის იყო მოძრაობის მთავარი პრინციპი. საერთაშორისო დონეზე შეთანხმებული კოოპერატივის ღირებულებებია თვითდახმარება, საკუთარი თავისადმი პასუხისმგებლობის ქონა, დემოკრატია, თანასწორობა, მიუკერძოებლობა და სოლიდარობა.

კოოპერატივები არ არის პანაცეა ნეოლიბერალიზმის ზემოქმედებების ან ზოგიერთი მენეჯერისა და ადმინისტრატორის ამბიციებისთვის, როგორც დიდი ბრიტანეთის კოოპერატივის ჯგუფის კრახისას ვნახეთ. ამასთან, კოოპერატივის მოძრაობის საფუძველზე არსებობს ფართო ისტორიული და სოციალური რესურსები, რომლებზე დაყრდნობითაც შეგვიძლია ჩვენი უნივერსიტეტების მართვისა და ინსტიტუციური მოწყობის ფორმების გადახედვა.

განიხილება რეაგირების სამი ტიპი: არსებული უნივერსიტეტების ფორმალურად, იურიდიული და კონსტიტუციური მექანიზმებით კოოპერატივებად გარდაქმნა; ჩვენი ინსტიტუტების დაშლა დე-ფაქტო კოოპერატივებად, კვლევითი ცენტრების კოოპერატივებად ჩამოყალიბებით, ინსტიტუციურ სტრატეგიებში კოოპერატივის ღირებულებებისა და პრინციპების ჩაშენებით, კოოპერატივის ღირებულებებისა და პრინციპების თანახმად, სწავლების სასწავლო პროგრამების შექმნით და ა.შ. და მესამე – ახალი კოოპერატიული ფორმების შექმნა უნივერსიტეტების არსებულ სისტემასთან ერთად.

რომელი გზაც არ უნდა აირჩიოთ და ცხადია, ჩვენ თითოეული მათგანი უნდა განვახორციელოთ, სწრაფი გამოსავალი არ არსებობს. გარდაქმნის გზა კონსტიტუციურ ცვლილებებს სწრაფად გამოავლენდა, მაგრამ კოოპერატიული კონსტიტუციის პრაქტიკაში ამოქმედება და ის ორგანიზაციული ცვლილებები, რომლებსაც ის გულისხმობს, ყველას მხრიდან რამდენიმეწლიან თავდადებულ შრომას მოითხოვს. დაშლის გზა მიღწევადია და ხორციელდება კიდევ, როგორც ფორმალურად ისე დივერსიულად, მაგრამ შედეგის შენარჩუნება დროთა განმავლობაში რთული იქნება, ხალხის ცვალებადობისა და არაკოოპერატიულ უნივერსიტეტში კოოპერატივის ჩანერგვის მცდელობისას გაჩენილი წინააღმდეგობიდან გამომდინარე, რაც მხოლოდ დროებით მიღწევებს მოიტანს. შექმნის გზამ მასწავლა, რომ ჩვენ თავად ვადგენთ ჩვენივე ამოცანებს; კოოპერატიულმა უმაღლესმა განათლებამ არ უნდა მიბაძოს თანამედროვე, სამეწარმეო სულისკვეთების უნივერსიტეტს და იმ

ყველაფერს, რის გაკეთებასაც, ის ცდილობს. კოოპერატიულ უნივერსიტეტს შეუძლია სცადოს ხალხის ამჟამინდელი მოთხოვნების დაკმაყოფილება და ამავდროულად წარმოიდგინოს ახალი ფორმა მომავლის უნივერსიტეტისათვის. ახალი უნივერსიტეტისა და ლონდონის თავისუფალი უნივერსიტეტის ოკუპაციებისას გაჟღერებული მოთხოვნები გვავალდებულებს განვაკვითაროთ ახალი მოდელი კოოპერატიული უმაღლესი განათლებისათვის.

„კოოპერატიული უნივერსიტეტის“ კრიტიკოსებმა კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენეს ჩვენი ერთგულება „საჯარო უნივერსიტეტის“ იდეისადმი. კოოპერატივები ნამდვილად არიან ანტი-ეტატიტები, მაგრამ ისინი ასევე უფრო მეტს წარმოადგენენ, ვიდრე „საჯარო მმართველობის“ იდეაა, „საერთო საკუთრების“ იდეით, საკუთრების სოციალური ფორმით, რომელიც უსასყიდლო გასხვისების უფლების (რაც გამოარჩევს კაპიტალისტურ კერძო საკუთრებას) საწინააღმდეგოა. მოკლედ რომ ვთქვათ, კოოპერატიული უმაღლესი განათლება მთლიანად თავსებადია „საჯაროობის“ იდეასთან თუ მოვიაზრებთ მას, როგორც ავტონომიურ, ღია, დემოკრატიულად მართულ „საყოველთაოს,“ სადაც აკადემიური სახსრები დემოკრატიულად იმართება აკადემიური და დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, დამლაგებლებისა და სხვების მიერ.

სარკე-სკოლა: სტუდენტები

ავტორი: ედუარდო გალუანო

თარგმნა გიორგი ხასაიაძე.

სტუდენტები

ბავშვებს დღითიდღე სულ უფრო ართმევენ ბავშვად ყოფნის უფლებას. მსოფლიო მდიდარ ბავშვებს ეპყრობა როგორც ფულს, თითქოს ისინი ფული იყვნენ, ასწავლის მათ მოიქცნენ ისე, როგორც ფული იქცევა. მსოფლიო ღარიბ ბავშვებს ეპყრობა როგორც ნაგავს, რომ ნაგავში მოისროლოს. ხოლო შუაში მყოფები, არც მდიდრები და არც ღარიბები, ტელევიზორებს მიაჯაჭვენ და პატიმრის ცხოვრებას ასწავლიან და აჩვენებენ.

ბავშვების მცირე რაოდენობას, ვისაც გაუმართლა და ბავშვად დარჩა, უნდა ქონდეთ ბევრი სასწაული და ბევრი სიხარული.

ჭერი, ფსკერი და შუა

სასონარკვეთის ოკეანეში არსებობს პრივილეგირებულთა კუნძულები, ფეშენებელური საკონცენტრაციო ბანაკები, სადაც ძლიერნი ამა ქვეყნისა ხვდებიან მხოლოდ მათ მსგავს, რომ არასდროს, წამითაც კი არ დაავიწყდეთ, როგორი ძლევამოსილები არიან. ლათინური ამერიკის ზოგიერთ ქალაქში, სადაც ბავშვების მოტაცება ჩვეულ ამბად იქცა, მდიდარი ბავშვები შიშის ჰერმეტულ ბუშტებში იზრდებიან. ისინი ციხესიმაგრის მსგავს სასახლეებში ცხოვრობენ, ან დასახლებებში, რომლებიც განათებული ღობეებითაა გარშემორტყმული, დღედაღამ დაცვის მიერ რომ კონტროლდება ან ყოვლისმხედველი სათვალთვალ კამერებით. ისინი ფულის მსგავსად, დაჯავშნული მაქანებით გადაყავთ ერთი ადგილიდან მეორეზე. ისინი პრაქტიკულად არ იცნობენ საკუთარ ქალაქებს. ისინი პოულობენ მეტროს პარიზსა და ნიუ-იორკში, მაგრამ არასდროს სარგებლობენ მისით სან-პაულუში ან მეხიკოში.

ისინი არ ცხოვრობენ ქალაქში, რომელშიც ცხოვრობენ. მათ ნებას არ რთავენ, ფეხი დაადგან ჯოჯოხეთის უზარმაზარ ტერიტორიაზე, რომელიც მათ პანანინა კერძო სამოთხეს ემუქრება. მათი კედლების მიღმა გადაშლილია საშინელებათა სამყარო, რომელიც სავსება მახინჯი, ბინძური, შურიანი ადამიანებით. ისინი იზრდებიან ფესვებს მონყვეტილად, კულტურული იდენტობის გარეშე, ხოლო საზოგადოებას აღიქვამენ მხოლოდ როგორც საფრთხეს. მათი სამშობლო მათ ტანსაცმელზე აღნიშნული დიზაინერების სახელებშია ჩაკირული.

მათი ენა თანამედროვე მორბეს ანბანია. მსოფლიოს ქალაქებში, პრივილეგირებულთა შვილები ერთმანეთს გვანან ჩვევებითა და წარმოდგენებით, როგორც სავაჭრო ცენტრები და აეროპორტები, რომლებიც დროისა და სივრცის მიღმა არსებობს. ვირტუალურ რეალობაში გაზრდილებმა, არაფერი იციან ნამდვილი რეალობის შესახებ, რომელიც მხოლოდ იმისთვის არსებობს, რომ იყიდო, ან გეშინოდეს მისი.

სწრაფი კვება, სწრაფი მანქანები, სწრაფი ცხოვრება: მდიდარ ბავშვებს დაბადებიდან წვრთნიან მოხმარებისთვის და სისწრაფისთვის, და გზა, რომელსაც ბავშვობაში გადიან, უდასტურებს მათ, რომ მანქანები უფრო სანდონი არიან, ვიდრე ადამიანები. და როცა მათი ხელდასხმის დღე დადგება, ისინი მიიღებენ გასაღებს მათი პირველი ოთხთვალა ყველგანმავალის. მანამდე კი ისინი ქმნიან საკუთარ იდენტობას, კიბერ გზატკეცილებზე საჭის მთელი სიჩქარით მართვით, გამოსახულებებისა და პროდუქციის შთონტქმით, შოპინგით და ბრძოლებით. კიბერ სივრცეში გადაადგილებისას ისინი თავს ისე გრძნობენ, როგორც უსახლკარო ბავშვები ქალაქის ქუჩებში წანწალისას.

ბავშვის სამყარო

თქვენ ძალიან ფრთხილები უნდა იყოთ გზაზე გადასვლისას – უხსნიდა კოლუმბიელი მასწავლებელი გუსტავო ვილკესი ბავშვების ჯგუფს. „მაშინაც კი, როცა შუქნიშანზე მწვანე ფერი აინთება, არასდროს გადაკვეთოთ სანამ გზის ორივე მხარეს არ გაიხედავთ“.

ვილკესი ბავშვებს მოუყვავა, რომ ერთხელ გზის შუამდე მისული მანქანამ გაიტანა. ის დაღვრემილი იხსენებდა კატასტროფას, რომელმაც ლამის მისი სიცოცხლე შეინირა. ბავშვები დაინტერესდნენ: „რა მანქანა იყო?“ „კონდიციონერა ქონდა?“ „ლუქი?“ „ნისლსაწინააღმდეგო ფარები?“ „რამდენიანი ძრავი ეყენა“?

მაღაზიის ვიტრინები

სათამაშოები ბიჭებისთვის: რემბოები, რობოტი პოლიციელები, ნინძები, ბეტმენები, მონსტრები, ტყვიამფრქვევები, პისტოლეტები, ტანკები, მანქანები, მოტოციკლეტები, სატვირთოები, თვითმფრინავები, კოსმოსური ხომალდები.

სათამაშოები გოგონებისთვის: ბარბის თოჯინები, საუთავო მაგიდები, სამზარეულოები, ბლენდერები, სარეცხი მანქანები, ტელევიზორები, სათამაშო ჩვილები, პანანინა ბოთლები, პომადები, ბიგუდები, მაკიაჟის კომპლექტი, სარკეები.

დიდი ხნით ადრე, სანამ მდიდარი ბავშვები აღარ იქნებიან და აღმოაჩენენ ძვირფას ნარკოტიკებს რათა მარტოობა გაიქარვონ და შიში დამალონ, ღარიბი ბავშვები ყნოსავენ წებოს და ბენზინს. სანამ მდიდარი ბავშვები სათამაშო ლაზერული იარაღებით ერთობიან, ქუჩის ბავშვები ნამდვილ ტყვიებს იცილებენ.

ლატინურ ამერიკაში ბავშვები და მოზარდები მთელი მოსახლეობის თითქმის ნახევარს შეადგენენ. და მათი ნახევარი სილატაკში

ცხოვრობს. ასობით ბავშვი კვდება შიმშილით ან განკურნებადი დაავადებით ყოველ საათს, მაგრამ ეს არ ამცირებს მათ რიცხვს ქუჩებსა და რეგიონებში, რომლებიც აწარმოებს ღარიბ ადამიანებს, ხოლო სიღარიბეს კანოგარეშედ აცხადებს. ღარიბები უმეტესად ბავშვები არიან და ბავშვები უმეტესად – ღარიბები. სისტემის ტყვეთა შორის ისინი ყველაზე ცუდ მდგომარეობაში არიან. საზოგადოება ბოლომდე წურავს მათ, სჯის, ხანდახან კლავს, მაგრამ არასდროს უსმენს და არასდროს ესმის მათი.

მთელ პლანეტაზე, ამ ბავშვებს, მშრომელთა ან უმუშევართა და უსახლკართთა შვილებს, ადრეული ასაკიდანვე ლუკმაპურის საშოვნელად ზურგზე ტყავი ძვრებათ. როგორც კი სიარულს ისწავლიან, ცხოვრება მაშინვე უწესებს ჯილდოს – გოგოები და ბიჭები რომლებიც უფასო მუშახელი ხდებიან სახელოსნოებში, მაღაზიებსა თუ ბარებში ან იაფი მუშახელი საქსპორტო ინდუსტრიებში, კერავენ რა სპორტულ ტანსაცმელს მულტინაციონალური კორპორაციებისთვის. მათ ამუშავებენ ფერმებში და ქალაქებში ან საშინაო შრომას ეწევიან, ემსახურებიან იმას, ვინც ბრძანებას გასცემს. ისინი პატარა მონები არიან საოჯახო მეურნეობებში ანდა გლობალური ეკონომიკის არაფორმალურ სექტორებში, სადაც მსოფლიო შრომის ბაზრის ყველაზე დაბალ საფეხურზე რჩებიან:

- მეხიკოს, მანილას ან ლაგოსის ნაგავსაყრელებზე ისინი ეძებენ სარკეებს, ქილებს და ქალაღდს, და საჭმლის ნარჩენებისთვის ებრძვიან სვავებს

- იავას ზღვაში ყვინთავენ მარგალიტებისთვის
- ეძებენ ალმასს კონგოს მაღაროებში
- ისინი თხუნელებით მუშაობენ პერუს შახტებში, სადაც მათი სხეულებრივი სიპატარავე შეუცვლელს ხდის მათ და როცა მათი ფილტვები ვეღარ უძლებს, ცხოვრებას უსახელოდ ამთავრებენ საერთო სასაფლაოზე.
- კოლუმბიასა და ტანზანიაში ისინი კრეფენ ყავის მარცვლებს და ინამლებიან პესტიციდებით
- ჰონდურასში ისინი იღებენ ბაბანის მოსავალს და ინამლებიან პესტიციდებით
- გვატემალაში ისინი იღებენ ბამბის მოსავალს და ინამლებიან პესტიციდებით
- მალაიზიაში ისინი აგროვებენ კაუჩუკის ხის წვეთებს, სამუშაო დღე ღამიდან ღამემდე გრძელდება
- ისინი მუშაობენ რკინიგზაზე ბირმაში
- ინდოეთის ჩრდილოეთით ისინი დნებიან მინის სადნობ ღუმელებში და დნებიან აგურის გამოსაწვავ ღუმელებში ინდოეთის სამხრეთით

- ბანგლადეშში ისინი 300-ზე მეტ სამუშაო ადგილას შრომობენ და სანაცვლოდ იღებენ არაფერს ან თითქმის არაფერს დაუსრულებელი სამუშაო დღისთვის
- ისინი მონაწილეობენ არაბი შეიხებისთვის გამართულ აქლემების დოღში და მწყემსავენ ცხვარს და მსხვილფეხა პირუტყვს რიო-დე-ლა-პლატას რანჩოებში
- ისინი ემსახურებიან ბატონების მაგიდებს პორტო-პრენსში, კოლომბოში, ჯაკარტაში ან რესიფში, ამ მაგიდეებიდან დაცვენილი ნამცეცების ჭამის უფლებისთვის.
- ისინი ყიდიან ხილს ბოგოტას ბაზრებში და საღებავ რეზინას სან-პაულუს ავტობუსებში
- ისინი წმენდენ საქარე მინებს ლიმას, კიტოს, ან სან სალვადორის ქუჩებში
- ისინი აპრიალეობენ ფეხსაცმლებს კარაკასსა და გუანაჰუატოში
- ისინი კერავენ ტენსაცმელს ტაილანდში და ფეხბურთის ბუცებს ვიეტნამში
- ისინი კერავენ ფეხბურთის ბურთებს პაკისტანში და კალათბურთის ბურთებს ჰონდურასსა და ჰაიტიში

- მშობლების ვალი რომ გადაიხადონ ისნი კრეფენ ჩაის ან თამბაქოს შრი-ლანკას პლანტაციებში და იღებენ ჟასმინის მოსავალს ფრანგული სუნამოებისთვის

- მშობლების მიერ ირანში, ნეპალში ან ინდოეთში გაქირავებულები, ქსოვენ ხალიჩებს აისიდან შუალამემდე და როცა ვინმე მათ გამოსხნას ცდილობს, ეკითხებიან: „ჩემი ახალი ბატონი ხართ?“

- მშობლების მიერ რამდენიმე ასეულ დოლარად სუდანში გაყიდულებს, მათ ბავშვების პროსტიტუციაში ითრევენ.

აფრიკის, ახლო აღმოსავლეთისა და ლათინური ამერიკის ზოგიერთ ქვეყანაში ჯარში ბავშვების რეკრუტირება ჩვეული მოვლენაა. ომში, ამ პატარა ჯარისკაცების სამუშაო მოკვლა და საკუთარი სიცოცხლის დათმობაა. ბოლო აფრიკული ომების მსხვერპლთა ნახევარი ბავშვია.

გაქცევა/1

მეხიკოს ქუჩებში ავტობუსების ბამპერებზე ჩამოკიდებულ ქუჩის ბავშვებთან ლაპარაკისას, რეპორტიორმა კარინა ავილესმა მათ ნარკოტიკებზე კითხა.

„მაგრად ვგრძნობ თავს, ყველა პრობლემას მაგინყებს“ – უთხრა ერთმა. „როცა გამოვდივარ და ისევ მე ვხდები“ – დაამატა, „გალიაში დამწყვედული ჩიტივით ვგრძნობ თავს“.

ამ ბავშვებზე მუდმივად ძალადობენ პოლიციელები და მათი

ძაღლები ავტობუსების ჩრდილოეთის ტერმინალზე.

კომპანიის მენეჯრმა დაარწმუნა რეპორტიორი: „ჩვენ ამ ბავშვებს არ ვაძლევთ თავის დაღუპვის უფლებას, რადგან ასე თუ ისე ისინიც ადამიანები არიან“.

ყველა ამ დავალების შესასრულებლად, ომის გამოკლებით, რომელსაც ტრადიცია აწესებს და რეალობა ასწავლის, რომ კაცის საქმეა, გოგონების ხელები ისევე გამოსადეგია, როგორც ბიჭების. შრომის ბაზარი გოგონებს ისევე ექცევა, როგორც ქალებს. მათ ყოველთვის უხდიან უფრო ნაკლებს, ვიდრე ბიჭებს – თუკი საერთოდ რამეს უხდიან.

პროსტიტუცია მთელ მსოფლიოში უამრავი გოგოს ხვედრია და უფრო ნაკლების, მაგრამ ბიჭებისაც. რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, 1997 წლის იუნისეფის მონაცემებით, აშშ-ში 100 000 ბავშვი ეწეოდა პროსტიტუციას. მაგრამ პროსტიტუციის მსხვერპლი ბავშვების სრული უმრავლესობა ამ სამუშაოში ჩართულია ბორდელეებსა და ქუჩებში პლანეტის სამხრეთ ნაწილში. ეს მრავალმილიონიანი ინდუსტრია, თავისი ადამიანის მოვაჭრეთა, შუამავალთა, ტურისტულ სააგენტოთა და მყიდველთა ქსელებით, სკანდალურად ადვილად მუშაობს. ლათინურ ამერიკაში ეს ახალი არაა: ბავშვთა პროსტიტუცია აქ 1536 წელს დაიწყო, როცა პუერტო-რიკოში პირველი „ტოლერანტობის სახლი“ გაიხსნა. დღეისათვის ნახევარი მილიონი ბრაზილიელი გოგო ყიდის საკუთარ სხეულს – იმდენივე, რამდენიც

ტაილანდში, მაგრამ იმაზე ნაკლები, ვიდრე ინდოეთში. კარიბის ზოგიერთ სანაპიროზე, სექს ტურიზმის ინდუსტრია ყიდის ქაღალდებთან სექსსაც კი, მათზე, ვისაც საჭირო თანხის გადახდა შეუძლია. გოგოების რიცხვი, რომლებსაც სხეული გასაყიდად გამოაქვთ, სტაბილურად იზრდება: საერთაშორისო ორგანიზაციების შეფასებების თანახმად, ყოველ წელს სულ მცირე მილიონი გოგო ავსებს მათ რიგებს, ვინც საკუთარ სხეულს აწვდის ბაზარს.

გაქცევა/2

მეხიკოს ქუჩებში გოგო ყნოსავს ტოლუოლს, გამხსნელს, წებოს, და მისთ. როცა მას მღელვარება ტოვებს, ის ამბობს: „მე მომელანდა ეშმაკი, უფრო სწორად მე შევალწიე ეშმაკში და მერე ზღვარზე ვიდექი, გადმოხტომა მინდოდა რვასართულიანი შენობიდან მაგრამ მერე მოლანდება გაქრა და ეშმაკმა დამტოვა. ყველაზე მეტად მომეწონა ერთი ჰალუცინაცია, როცა გვადალუპეს ღვთისმშობელი გამომეცხადა. მე ის ორჯერ მყავს ნანახი“.

ღატაკი ბავშვების რაოდენობა, რომლებიც შრომობენ თავიანთ სახლში ან სახლის გარეთ, თავიანთი ოჯახებისთვის თუ სხვისთვის, უთვალავია. ისინი შრომობენ კანონს გარეთ და სტატისტიკის მიღმა. დანარჩენები? ბევრი მათგანი უბრალოდ ნამატია, ბაზარს არ სჭირდება ისინი, არც არასდროს დასჭირდება. ისინი არ არიან მომგებიანნი და ვერასდროს გახდებიან. არსებული წესრიგის თვალსაზრისით, მათ სიცოცხლე დაიწყეს ჰაერის მოპარვით, რომელსაც სუნთქავენ, და მალე მოიპარავენ ყველაფერს, რასაც

მათი ხელი მიწვდება. შიმშილი ან ტყვია შეამოკლებს მათ გზას აკვნიდან სასაფლაომდე. სისტემას, რომელსაც ეზიზღება მოხუცი, ეშინია ბავშვის. ასაკი მარცხია, უასაკობა - საფრთხე. უფრო მეტიც, ღარიბი ბავშვები „იბადებიან კრიმინალისკენ მიდრეკილების ტენდენციით“, როგორც სპეციალისტები ამტკიცებენ. ისინი „ჭარბი მოსახლეობის“ ყველაზე საშიში კატეგორიაა. ბავშვი, როგორც საჯარო საფრთხე: „ახალგაზრდების ანტი სოციალური ქცევა ლათინურ ამერიკაში“ წლების განმავლობაში პან ამერიკული ბავშვთა კონგრესის მუდმივი თემაა. მთავრობებს და ამ საკითხის ზოგიერთ ექსპერტს ერთნაირად აკვიატებული აქვთ ეს ძალადობა, მანკიერება და სამარადჟამო კრულვა. თითოეული ბავშვი ელ ნინიოს საშიში დინებაა და ის უბედურება, რაც შეიძლება მან დაგვატეხოს თავს, წინასწარ უნდა აღიკვეთოს. პირველ სამხრეთ ამერიკულ პოლიციურ კონგრესზე, რომელიც მონტევიდეოში 1979 წელს ჩატარდა, კოლუმბიელმა დელეგატმა განმარტა, რომ „18 წლამდე მოსახლეობის სწრაფი ზრდა აუცილებლად გვაფიქრებინებს, რომ პოტენციურად დამნაშავე მოსახლეობის რაოდენობაც გაიზრდება.

ლათინო ამერიკულ ქვეყნებში ბაზრის ჰეგემონია არღვევს სოლიდარობის ჯაჭვს და ნაფლეთებად აქცევს სოციალურ ქსოვილს. რა ბედი ელით უქონელთ, არას მქონელთ, ქვეყნებში, სადაც საკუთრების ქონის უფლება ერთადერთ უფლებადაა ქცეული? რა ელით უქონელთა შვილებს? შიმშილი აიძულებს მრავალთ, იპარონ, იმათხოვრონ, ან ჩაერთონ პროსტიტუციაში. მომხმარებელი საზოგა-

დღეობა შეურაცხყოფს მათ იმის შეთავაზებით რაც თავად აღარ ჭირდება და შემდეგ ისინი შურს იძიებენ, გაერთიანებულნი სიკვდილის გარდაუვალობით, რომელიც მათ ელოდება. იუნისეფის თანახმად, 1995 წელს 8 მილიონი მიტოვებული ბავშვი ცხოვრობდა ლათინო ამერიკული ქვეყნების ქუჩებში. Human Rights Watch-ის თანახმად, პოლიციასთან დაკავშირებული სიკვდილის ესკადრონები დღეში ექვს ბავშვს კლავდნენ კოლუმბიაში, ხოლო ოთხს - ბრაზილიაში.

უკიდურესობებს შორის არსებობს საშუალო. ფუფუნების პატიმრებსა და სიღატაკის ტუსალებს შორის არიან ბავშვები, რომლებსაც აქვთ არაფერზე ცოტათი მეტი, მაგრამ არ აქვთ ყველაფერი, რაც ჭირდებათ. ისინი სულ უფრო ნაკლებად თავისუფალნი არიან. „დაგვრთავენ არსებობის უფლებას თუ არ დაგვრთავენ - საკითხავი აი ეს არის“ - როგორც ესპანელ კომიკოსს, ჩუმი ჩუმესს უყვარდა თქმა. ამ ბავშვებს თავისუფლება ჩამორთმეული აქვთ საზოგადოებისგან, რომელიც ეთაყვანება წესრიგს, რადგან ეს ბავშვები ქმნიან უწესრიგობას. შიშის შიში: იატაკი ირყევა მათ ფეხქვეშ და უსაფრთხოების გარანტია არ არსებობს. სტაბილურობა არასტაბილურია, სამუშაო ადგილები ორთქლდება, ფული ქრება. თვის ბოლომდე თავის გატანა გმირობის ტოლფასია. „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, სამუალო კლასო“ - წერია ბილბორდზე ბუენოს აირესის ერთერთი ყველაზე ცუდი უბნის შესასვლელში. სამუალო კლასი ჯერ კიდევ ცხოვრობს როგორც თვითმარქვია, რომელიც

თავს იკატუნებს, რომ ემორჩილება კანონს და ჯერა მისი, რომელიც თავს იკატუნებს, რომ აქვს მეტი, ვიდრე სინამდვილეში აქვს.

მაგრამ აქამდე მათთვის ასეთი რთული არ ყოფილა ამ დამქანცველ ფარსში მონაწილეობა. ვალისგან სულშეხუთული და შიშისგან პარალიზებული საშუალო კლასი შვილებს პანიკაში ზრდის. ცხოვრების შიში, დაცემის შიში, სამსახურის დაკარგვის შიში, მანქანის დაკარგვის შიში, ქონების დაკარგვის შიში. შიში, რომ არასდროს ექნებათ ის, რისი ქონაც აუცილებელია არსებობისთვის.

ფართოდ გავრცელებულ მოთხოვნაში საჯარო უსაფრთხოების, რომელსაც ფარული კრიმინალური მონსტრები საფრთხეს უქმნიან, საშუალო კლასის წარმომადგენლების ხმა ყველაზე მკაფიოდ ისმის. ისინი იცავენ წესრიგს ისე, თითქოს თავად იყვნენ ამ წესრიგის ბატონ პატრონები. თუმცა სინამდვილეში ისინი უბრალოდ არენდატორები არიან, რომლებიც ძლივს აუდიან ქირის გადახდას და მუდმივად გამოსახლების საფრთხის ქვეშ ცხოვრობენ.

და ყრუც შეისმენს

მსოფლიოში მოშიშშილე ბავშვების რაოდენობა იზრდება. ყოველ წელს ხუთ წლამდე ასაკის თორმეტი მილიონი ბავშვი კვდება დიარეით, ანემიით და შიმშილით გამოწვეული სხვა დაავადებებით. იუნისეფის 1998 წლის ანგარიში გვეუბნება, რომ ბავშვთა შიმშილობის წინააღმდეგ ბრძოლა „მსოფლიოს უმთავრეს პრიორიტეტად

იქცა“. ამისათვის კი ანგარიში მიმართავს ერთადერთ არგუმენტს, რომელიც ჩანს რომ დღეისთვის მუშაობს: „ვიტამინებისა და მინერალების ნაკლებობა რაციონში ზოგიერთ ქვეყანას მთლიანი ეროვნული შემოსავლის 5%-ზე მეტი უჯდება სიკვდილიანობის, უნარშეზღუდულების რაოდენობისა და პროდუქტულობის დონის შემცირების გამო“.

ტერორის ხაფანგში მოხვედრილი სულ უფრო და უფრო მეტი ბავშვი განწირულია დამამცირებელი სამუდამო პატიმრობისთვის. მომავლის ქალაქში, რომელიც ანმყოს ქალაქი ხდება, ტელებავშვები ტელეძიძების მეთვალყურეობის ქვეშ დაათვალიერებენ ქუჩებს მათი ტელესახლების ფანჯრებიდან: ქუჩა, რომელიც უბოძო მადლობას უხდის ძალადობას და შიშს, ქუჩა სადაც ცხოვრების სახიფათო და ხანდახან განსაცვიფრებელ სანახაობას ვადევნებთ თვალს.

უმაღლესი განათლება სიყვარულსა და სამართლიანობას უნდა ემსახურებოდეს

ავტორი: ენტონი ბარნეტი

თარგმნა თეონა რეხვიაშვილმა.

OpenDemocracy-ის თანადამფუძნებლის, ენტონი ბარნეტის, გოლდსმიტის კურსდამთავრებული სტუდენტებისადმი წარმოთქმული სიტყვის რედაქტირებული ვერსია და მისთვის საპატიო წოდების მინიჭება.

ამაყი ვარ იმით, რომ მეც შემიძლია გავიზიარო ის სიამაყე, რომელსაც თითოეული თქვენგანი გოლდსმიტის მიერ თქვენი მიღწევის აღიარების გამო გრძნობთ. თითოეულ თქვენგანში ვგულისხმობ სტუდენტებსა და მშობლებს და მართლაც რომ, განსაკუთრებით მშობლებს, მთელი თქვენი მხარდაჭერისთვის, სიყვარულისთვის და გადატანილი სტრესებისთვის. ძალიან

ბედნიერი ვარ რომ შემოგიერთდით და ეს პატივი მაქვს, რამეთუ: არსებობენ უნივერსიტეტები და არსებობს გოლდსმიტი.

რას ნიშნავს გქონდეს „საპატიო წოდება“?

ვიდრე ვისაუბრებდე თუ რატომაა გოლდსმიტი ასეთი განსაკუთრებული და თქვენს ცხოვრებებზე გოლდსმიტის შემდეგ, მინდა ვისაუბრო საპატიო წოდების მინიჭებაზე.

მე არ მჭერა ბრიტანეთის ისტორიული „კეთილშობილთა სისტემის.“ გრაფის ტიტულების მფლობელებმა თავის დროზე სახელი გაითქვეს ძარცვითა და გაუპატიურებით. არისტოკრატია იმპერიის მიერ იყო აგებული და განასახიერებდა წოდებრივ უპირატესობასა და ექსკლუზიურობას.

როგორც უკვე მოისმინეთ, ჩემი დროის უდიდესი ნაწილი, ამის აღმოფხვრის მცდელობას დავუთმე.

სანაცვლოდ, ის გაუარესდა - კომერციალიზდა. დიდგვაროვანთა ტიტულები ღიად იყიდებოდა - სწორედ ესაა ერთ-ერთი მიზეზი იმისა, თუ რატომ ჰყავს ე.წ. ლორდთა პალატას ინტერესთა ფართო სპექტრის მქონე 780 წევრი. გამონაკლისი შემთხვევებიც კი რომ დავასახელოთ, მათ შორის არასდროს ყოფილა ამდენი დიდგვაროვანი ტიტულის მქონე, ასეთი მცირე არისტოკრატიული წარმომავლობის მაჩვენებლით.

თუმცა, ჩვენი ქვეყანა უკეთესობისკენაც იცვლება. ჩვენი მონივნებისა და პრივილეგიების ტრადიციები სუსტდება. ჩემი დამოკიდებულება დაფასების სისტემის მიმართ არ შერბილებულა, თუმცა შეიცვალა საპატიო ტიტულის ფლობის ბუნება.

პირველად ამაზე მაშინ დავფიქრდი, როდესაც ღია უნივერსიტეტმა შემომთავაზა საპატიო დოქტორის ხარისხი დემოკრატიისთვის ჩემი სამსახურისთვის. დედაჩემი, რომელმაც სკოლა 14 წლის ასაკში მიატოვა, ამ უნივერსიტეტის ერთ-ერთი პირველი სტუდენტი იყო. ამ პროექტში მონაწილეობის გამო თავს დაფასებულად ვგრძნობდი. რამეთუ გოლდსმიტის მსგავსად, ღია უნივერსიტეტი მოწოდებულია ინკლუზიისკენ, უპირატესობის მინიჭებისკენ მათთვის, ვისაც დედაჩემის მსგავსად არაფერი გააჩნდათ; ჩემი სადოქტორო მას მივუძღვენი და ვთქვი: „აღარასოდეს“.

ახლა, ამაყი ვარ, რომ კიდევ ერთი გამონაკლისი დავუშვი.

„არსებობენ უნივერსიტეტები და არსებობს გოლდსმიტი“

გასულ წელს გოლდსმიტში ვმონაწილეობდი დისკუსიაში კაპიტალიზმის მომავლის შესახებ. იმ შენობის საპოვნელად, სადაც ეს დისკუსია იმართებოდა, ჩავხედე კამპუსის რუკას.

როგორც წესი, დიდი უნივერსიტეტები სავსეა შენობებით, რომლებიც ხოტბას ასხამენ ძველი წყობის ფიგურებს. მოგვიანებით მათ, ვისთანაც ერთად ვიყავი, ვუთხარი, „იცით, უცნაური გრძნობაა: ამ შენობებიდან სამი იმ ადამიანებთა სახელებს ატარებს, რომლებსაც ვიცნობდი!“.

რიჩარდ ჰოგარტის შენობა გოლდსმიტის მეხუთე დეკანის სახელს ატარებს, ბენ პიმლოტის შენობას მეშვიდე დეკანის სახელი დაერქვა და აქვეა სტიუარტ ჰოლის შენობა. რიჩარდ ჰოგარტს ერთხელ შევხვდი. მუშათა კლასის მწერალს, რომელიც ცნობილი იყო 1950-

იანი წლების ნოვატორული წიგნით „ნიგნიერების გამოყენება“. იგი ცდილობდა მთელი მსოფლიო განათლებული გაეხადა „იუნესკოს“ ხელმძღვანლობით. გამოაცა მისმა პრაქტიკულმა სერიოზულობამ და მისმა ერთგულებამ იმისადმი, რასაც შოტლანდიელები „დემოკრატიულ ინტელექტს“ უწოდებენ.

ბენ პიმლოტი ჩემი ასაკის იყო. მენატრება ის, თუ როგორც ვაჯავრებდით ერთმანეთს, როგორც მხოლოდ ერთ მხარეზე მყოფ ადამიანებს შეუძლიათ. ორივე ვენინააღმდეგებოდით ერთად შეჭრას, მაგრამ ხშირად არ ვეთანხმებოდით ერთმანეთს. მან მოიწონა ჰაროლდ ვილსონი, საშინელი ლეიბორისტი პრემიერ-მინისტრი. მან დაწერა დედოფლის მოწინებელი ბიოგრაფია, მაშინ როდესაც მე ვიყავი და ვარ რესპუბლიკელი. მაგრამ ამასთანავე, ის იყო საჯარო სამსახურის დიდი ერთგული. დღეს, საჯარო სამსახურის ის კულტურა, რომელსაც ის განასახიერებდა, ყვითელი პრესის მიერ რეპუტაციაშელახულია, როგორც ანგარებიანი პატერნალიზმი. სინამდვილეში, ჩვენ საშინლად გვჭირდება ბენისნაირი თავდაუზოგავი ერთგულება დემოკრატიული პასუხისმგებლობისადმი.

სტიუარტ ჰოლს თანამებრძოლად მივიჩნევ. მას პირველად 1968 წელს, ბირმინგემის უნივერსიტეტის დიდ დარბაზში შევხვდი, როდესაც მას სტუდენტები იკავებდნენ. ორივე იქ სტუდენტებისადმი სოლიდარობისთვის ვიყავით (იგი ერთ-ერთ მათგანზე დაქორწინებული იყო, მე კი მეორეს ვხვდებოდი). მესმის რამდენად დამაბნეველი შეიძლება იყოს მსგავსი პიკეტირება მშობლებისთვის, რომლებიც ხედავენ თავიანთ შვილებს, მობილიზებულებს იმ

ინსტიტუციის წინააღმდეგ, რომელში მოხვედრისთვისაც ამდენი იშრომეს. მიუხედავად ამისა, კოლექტიური მოქმედება სწავლების გამოცდილებათა იმ განსხვავებით, რომ იგი უპირისპირდება ყველას, თითოეულ მხარეს, აგენტობისა და პასუხისმგებლობის მნიშვნელოვანი საკითხებით, მათ შორის, როგორ უნდა გააპროტესტო, მოიგო და შეინარჩუნო მხარდაჭერა, აიცილო თავიდან სექტანტიზმი და როდის უნდა დაასრულო წინააღმდეგობა.

სტიუარტ ჰოლი იყო ფრთხილი, მაგრამ არასდროს ყოფილა მხდალი. ის იყო პირველი ამ ქვეყანაში, ვინც ამოიცნო „ტეტჩერიზმის“ მძლავრი საფრთხეები. მე მომწონდა, ის რომ ჩვენთვის უკეთ გასაგებად მან შეიმუშავა კონცეპტები ეს ტერმინი [„ტეტჩერიზმი“] მან იქამდე გამოიყენა, ვიდრე ტეტჩერი საერთოდ პრემიერ-მინისტრი გახდებოდა. იგი წინასწარ გვაფრთხილებდა იმის შესახებ, რასაც თავად უწოდებდა ტეტჩერის „რეგრესულ მოდერნიზაციას“, რაშიც იგულისხმებოდა ტეტჩერის მხარდამჭერების თვითგაცხადება ტრადიციონალისტებად, მაშინ როდესაც მათ იერიში მიჰქონდათ ჩვენს მომავალზე. ახლა, ბრექსიტის მიმდინარეობისას, სტიუარტის სიცილი ჩამესმის. მისი სიცილი სიმღერას ჰგავდა, იამაიკურ რიტმს მოეხელთებინა ჩვენი მონყვლადობის აბსურდული განსაცდელი, მაგრამ არა ცინიკურად. შეუპოვარი წინააღმდეგობა დეკუმანიზაციისა და რასიზმის ყოველგვარი გამოვლინებისადმი, მას დემოკრატიის მაცოცხლებელ ძალად ხდიდა.

უმანკოების სიმღერებში, უილიამ ბლეიკმა დაწერა რომ ჩვენ შეიძლება დავინახოთ სამყარო ქვიშის მარცვალში და სამოთხე ველურ ყვავილში. თუმცა შეგვიძლია კი ვნახოთ დემოკრატიული ინტელექტი, ან პასუხისმგებლობა ანდაც სასიცოცხლო ძალა - შენობაში?

იქნებ, არა მხოლოდ ერთში. თუმცა, გოლდსმიტში გავლა მაფიქრებინებს რომ დემოკრატიული დებატები ამ სამ ტრადიციულ შენობას შორის მიმდინარეობს ქალებსა და კაცებს - გოლდსმიტის სტუდენტებს, პროფესორ-მასწავლებლებსა და დამხამარე პერსონალს შორის უკიდურესად აუცილებელ, თანამედროვე ინტერაქციას აღძრავს, რაც გოლდსმიტს უმაღლესი განათლების უნიკალურ ცენტრად აქცევს: დისკუსია, რომელიც ექსპერტული და ძიებაზე ორიენტირებულია სწორედ ისაა, რისთვისაც უნივერსიტეტი უნდა არსებობდეს.

უმაღლესი განათლების ტრაგიკული კომერციალიზაცია

თითოეული მათგანი განასახიერებდა იმას, რაც უნდა იყოს უმაღლესი განათლება და წინააღმდეგობას უწევდა მის მარკეტიზაციასა და კომერციალიზაციას. ამ პროცესში ტრაგიკული მომენტი იყო, როდესაც 2009 წელს სახელმწიფო მდივანმა ბინზესის საკითხებში, ლორდმა მენდელსონმა უფლებამოსილება მიანიჭა ლორდ ბრაუნს, შეეთავაზებინა უნივერსიტეტებისთვის დაფინანსების გზა. ბრაუნმა, რომელიც British Petroleum-ის მმართველი იყო, განაცხადა რომ, ვცითირებ, ვერ იპოვა ვერანაირი „ობიექტური

ხარისხის საზომი“, რომლითაც შეიძლება ეხელმძღვანელა უმაღლესი განათლების სახელმწიფო დაფინანსებისას. ამგვარად, ბაზარს ეს უნდა გადაეწყვიტა სტუდენტების გადასახადების მიხედვით.

სიამოვნებით ვიხილავდი ლორდ ბრაუნის საჯარო დებატებში ჰოგარტთან, პიმლოტთან ან ჰოლთან! მათ ნამდვილად, დოგმატურობის გარეშე იცოდნენ ის თვისებები, რომლებითაც განისაზღვრება კარგი უმაღლესი განათლება და შესაბამისად, ესმოდათ სახელმწიფო დაფინანსების საჭიროებაც.

სამივემ იცოდა აზროვნების დამოუკიდებლობისა და განსჯის, როგორც, ორმხრივი სარგებლის მნიშვნელობა ყველასათვის და როგორ სჭირდება ამას წვრთნა და აღზრდა. ისინი აცნობიერებდნენ, რამდენად არსებითია, ის რასაც ფართოდ შეგვიძლია ვუწოდოთ ჰუმანიტარული მეცნიერებები, განსაკუთრებით კი მაშინ, როცა ჩვენ უნდა გავუფრთხილდეთ ერთმანეთს ამ რთულ და სწრაფად ცვალებად დროებაში. რამეთუ, დემოკრატია ვერ შედგება დემოკრატიული კულტურისა და მისი დემოკრატიულ უნივერსიტეტებში ჩამოყალიბებული სტანდარტების გარეშე.

სტიუარტ ჰოლი, ბენ პიმლოტი და რიჩარდ ჰოგარტი - ისინი არ ემსახურებოდნენ კერძო ინტერესებს. მათ დიდი ძალისხმევა ჩადეს იმის გარკვევის მცდელობაში თუ როგორ მუშაობს ჩვენი საზოგადოება - აი ესაა განათლება; და იმის გარკვევაში, როგორ უნდა ყოფილიყო ეს ხელმისაწვდომი ყველასთვის - ეს არის თანას-

წორობა; და როგორ შეეძლო ამას გაეუმჯობესებინა მსოფლიო - ეს არის პრაქტიკულობა.

ისინი თავიანთ მოსაზრებებს კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებდნენ პუბლიკაციებში, მაუწყებლობებსა და პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავებისას; როგორც პედაგოგების, შემდგომში მათი სახელობის შენობები არ ასრულებდნენ მხოლოდ „ცოდნის ტაძრის“ ფუნქციას; მათმა საქმემ საჯარო სფეროს შემატა თავისუფლება. ისინი ისწრაფვოდნენ ყველაზე რთული მისიისკენ, ყოფილიყვნენ მართლები და ასევე, როგორც გოლდსმიტის პროფესორმა პოლ გილროიმ აღნიშნა, „მათ იცოდნენ რომ მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რა შეგვიძლია გავაკეთოთ ერთმანეთისთვის“.

ამ საქმისადმი ერთგულების ნიშანია ალბათ ისიც, რომ არცერთ მათგანს არ მიუღია წოდება ოფიციალური „დაფასების სისტემისგან“

„ჩემმა თაობამ გადმოგცათ სამყარო, რომელიც იწვის“

ყველაფერ ამას მივყავარ რჩევებამდე თქვენი, როგორც კურსდამთავრებულების, მომავლისთვის. პირდაპირ რომ ვთქვათ, რიჩარდს, ბენსა და სტიუარტს ოფიციალური წოდება იმიტომ არ მიანიჭეს, რომ მათ წააგეს. მათმა თაობამ - ჩემმა თაობამ - გადმოგცათ სამყარო, რომელიც იწვის, ძალაუფლების სისტემა, რომელიც უგუნურია, ლიდერები, რომლებიც რასისტები არიან (ერთ-ერთი მათგანი პრემიერ-მინისტრი ხდება). არა, მოდით ვიყოთ კეთილსინდისიერები ჩვენს მიერ ისეთი ენის გამოყენებაში, ვითომ ის არაა რასისტი. პრეზიდენტი ტრამპის მსგავსად, ისიც იტყოდა რომ

რასისტული ძვალის კი არ აქვს სხეულში. თუმცა, რატომღაც, ბევრ მის მხარდამჭერსა და მიმდევარს არ სჯერა მისი, რაც მან კარგად იცის და ამასთან პრობლემაც არ აქვს.

ამგვარად, მესმის, თუ გრძნობთ, რომ ჩემი თაობიდან არავის აქვს უფლება რჩევა მოგცეთ!

მაშინ ერთადერთი, რაც შემიძლია შემოგთავაზოთ გაფრთხილებაა. როგორც კი დატოვებთ გოლდსმიტს, თითოეული თქვენგანი იმსახურებს თავისი პოტენციალის სრულად განვითარებას და ეს გულისხმობს სწრაფვას გახდეთ საკუთარი თავების საუკეთესო ვერსიები. მაგრამ, გააკეთეთ ეს ერთმანეთთან ურთიერთთანამშრომლობით. არ იფიქროთ რომ შეგიძლიათ სამყაროს ან საკუთარი თავის გადარჩენა ყველა სხვასთან კონკურენციით, საკუთარი სარგებლის მაქსიმალიზაციის მიზნით. ეს ეკოიზმის სისტემაა, რომელსაც მხარს უჭერდნენ პრეზიდენტი რეიგანი, მარგარეტ ტეტჩერი და მათი დღევანდელი მემკვიდრეები.

დღეს ამას მოაქვს დამანგრეველი ბრექსიტი, რომელიც დახურავს ჩვენს კონტინენტს თქვენთვის; საგანგაშო მდგომარეობა კლიმატის კუთხით, პოლარიზაცია, უთანასწორობა და ძალადობა, როგორსაც ახლა ამერიკაში ვხედავთ, სოციალური მედიის მიერ გავრცელებული, ახალი ფორმის ფაშიზმის საფრთხე.

სიყვარული და სამართლიანობა

ამ მძიმე დროში, კითხვის დასმა თუ რა შეგიძლია გააკეთო სხვებისთვის, ერთადერთი გზა თვითდახმარებისთვის. ამას ცდი-

ლობდა მარტინ ლუთერ კინგიც, როდესაც ითხოვდა სიყვარულით მართულ მსოფლიოს, რომელიც ქმნის სამართლიანობას.

თანაშრომლობა უფრო რთული, მაგრამ უფრო დიდი კმაყოფილების მომტანია, ვიდრე კონკურენცია. ეს ნიშნავს თქვა უარი ორივეზე: იყო მსხვერპლი და აქციო სხვა მსხვერპლად; ეს ნიშნავს თქვენი გრძნობების გაზიარებას ისე რომ არ იყოს მართული ემოციებით თანაგრძნობას სხვების განცდებისადმი, მაშინაც კი, როდესაც მათ არ იზიარებ; ეს ნიშნავს არ თქვათ უარი თქვენს იდენტობებზე, რომელიც ყველას ერთზე მეტი გაგვაჩნია და პირიქით, ხელი შევეწყობთ მათ და ზრდასა და ტრანსფორმაციას; ეს ნიშნავს გამოვიყენოთ ციფრული ეპოქის საშუალებები, რათა ვიქცეთ სამყაროს თანაშემქმნელებად და არა მხოლოდ მომხმარებლებად; ეს ნიშნავს ყოველთვის გამოვიყენოთ ჩვენი ინტელექტის ძალა, მათ შორის ემოციური ინტელექტის ძალა, რათა შევექმნათ პრეცედენტი, რომელიც მნიშვნელობს, ვიკითხოთ რა შეგვიძლია გავაკეთოთ სხვებისთვის - სიყვარულითა და სამართლიანობით.

სჭირდება თუ არა კაპიტალიზმს მასობრივი უმალლესი განათლება?

ავტორი: მაიკლ ვეინი

თარგმნა თეონა რეხვიაშვილმა.

ნეოლიბერალური პარადიგმა ეკონომიკურად მკვდარი, თუმცა იდეოლოგიურად კვლავ ძალიან აქტიურია, განსაკუთრებით განათლების სექტორში, რომელმაც გაცილებით მეტად მოირგო ბიზნესის მსგავსი და „სამენარმეო“ ღირებულებითი სისტემა.

ნეოლიბერალური პარადიგმა ეკონომიკურად 2008 წლის ფინანსური კრახის შედეგად მოკვდა, რის შედეგებსა და თანმდევ მოვლენებში დღესაც ვცხოვრობთ, რამდენადაც ხელფასები და ცხოვრების სტანდარტები თავისუფალ ვარდნას განაგრძობენ. მაგრამ, იდეოლოგიურად ნეოლიბერალური პარადიგმა ისეთი ძლიერია, როგორც არასდროს. როგორც სხვადასხვა კომენტატორი აღნიშნავს, ეს არის ზომები კაპიტალიზმში, მკვდარი, მაგრამ ჯერ კიდევ ძალიან აქტიური, რომელიც ბოლომდე იტაცებს სოციალური სიმდიდრისა და საზოგადოებრივი რესურსებისაგან არსებულ ნარჩენებს. განათლება ამის ყველაზე აშკარა მაგალითია. დევიდ

ვილექტმა, სახელმწიფო მინისტრმა უნივერსიტეტებისა და მეცნიერებისთვის, ნათელი მოჰფინა ნგრევის მთავრობის განზრახ გაცემებულ ინსტიტუციურ ვანდალიზმს, კერძოდ, New Labour-ის ნეოლიბერალური ინიციატივების ზემოდან დაშენებასა და უნივერსიტეტის დაფინანსების მთლიანად სწავლის საფასურის სისტემაზე გადატანას. ამან ნეოლიბერალიზმს მიანიჭა ეკონომიკური საფუძველი უმაღლესი განათლების მიზნების უზარმაზარი იდეოლოგიური რეფუნქციონირებისათვის - „სამენარმეო“ იდეოლოგიის ღირებულებები დღეს უმაღლესი განათლების სისტემის მეშვეობით ვრცელდება. თუმცა, უფსკრული სიტყვებსა და ეკონომიკურად მომაკვდავი პარადიგმის რეალობას შორის, მუდმივად იჩენს თავს. Entrepreneurialism, რაც დინამურად, აქტიურად და სიმდიდრის მომტანად ჟღერს, უფრო და უფრო მეტი ადამიანისთვის ხდება თვითდასაქმებელი, დაუცველი შრომა, ხშირად, პირადი მომსახურების სფეროში. კაპიტალისტური ეკონომიკური აქტივობის პირობებშიც კი, ის ძნელად ჩაითვლება ღირებულების მანარმოებელ საქმიანობად და მხოლოდ სხვების ერთჯერადი შემოსავლების ხარჯზე ადამიანების გადარჩენა თუ შეიძლება იყოს.

იდეოლოგია გარდაუვალად ამახინჯებს სიტყვების არსს და ამის შედეგები განათლების სისტემისათვის, რომლისთვისაც ამ სიტყვებს ყელზე დანა აქვთ მიბჯენილი, ღრმაა. სიტყვების მნიშვნელობის დამახინჯება იმ ეკონომიკის გარდაუვალი შედეგია, რომელიც ისევეა გადახრილი ელიტებისკენ, როგორც ჩვენი დანგრეული ეკონომიკა. მაგალითად, ავიღოთ განმანათლებლობის ტრადიციული ლიბერა-

ლური ღირებულებები, როგორებიცაა ტოლერანტობა, მრავალფეროვნება, თანასწორობა და საღი აზრი. თავდაპირველად, ნეოლიბერალიზმს ლიბერალიზმი არ სჭირდებოდა; ხოლო ლიბერალიზმი ნეოლიბერალიზმს (ან ტექნიკიზმს, როგორც მაშინ იყო ცნობილი) საფრთხედ მიიჩნევდა. 1990-იანი წლებისთვის, საკუთარი თავის დასაცავად ნეოლიბერალიზმი ხისტი ძალდატანებისთვის ზურგი უნდა ექცია და დაეწყო საკუთარი თავის კვლავწარმოება თანხმობისთვის უფრო დიდი ადგილის გამოთავისუფლებით. ამ საკითხში, ლიბერალიზმი უნდა გამხდარიყო მთავარი იდეოლოგიური რესურსი, კაპიტალის ახალი, მძლავრი ძალაუფლების ლიბერალიზმთან პარმონიული შეთანხმების ფორმირებით. დიდ ბრიტანეთში ამან გარდაქმნა პოლიტიკური კულტურა, ორივე, როგორც ლეიბორისტული ისე კონსერვატიული პარტიების, რაც განსხვავებულ იქნა მათ ლიდერებში ტონი ბლერსა და დევიდ კამერონში. როგორც ჟიჟეკმა აღნიშნა, მულტიკულტურალიზმი გვიანდელი კაპიტალიზმის კულტურულ ლოგიკად იქცა. რასიზმის, სექსიზმის, ჰომოფობიისა და ქსენოფობიის ღიად რეაქციული ღირებულებები, რომლებიც ასახული იყო ტექნიკიზმში, ოფიციალურად უნდა ჩანაცვლებულიყო საზოგადოებრივი ვალდებულებებით თანასწორობისა მრავალფეროვნებისადმი, რათა უკმაყოფილების მნიშვნელოვანი წყაროები მოქცეულიყო ნეოლიბერალიზმის ჩარჩოებში. რამდენადაც, მაგალითად, შავკანიანი ახალგაზრდები ჩამოცილდნენ ადრინდელ ანტირასისტულ, ანტიიმპერიალისტულ და ანტიკაპიტალისტურ რადიკალურ პოლიტიკებს მეწარმეობის

სასარგებლოდ, მიგვანიშნებს რომ კულტურულად პროგრესული ნეოლიბერალიზმის მეორე ეტაპს, წარმატების გარეშე არ ჩაუვლია. ლიბერალიზმის ტრადიციული ერთგულება განათლების ღირებულებებისადმი, ანალოგიურად მიითვისეს ნეოლიბერალებმაც. ტონი ბლერმა, თავის სპეციალურ მრჩეველთან ენდრიუ (შემდგომში ლორდი) ადონისთან ერთად, განათლება ერთ-ერთ მთავარ პოლიტიკურ მიმართულებად აქცია. განათლება უნდა ყოფილიყო სოციალური ინკლუზიის მამოძრავებელი ძალა, მაგრამ აღმოჩნდა რომ „ინკლუზია“ გულისხმობდა კერძო პროვაიდერების სასწავლებლებში მოხვედრას მაგალითად, როგორებიცაა Harris Academies (რომელსაც ხელმძღვანელობდა ფილიპ (შემდგომში ლორდი) ჰარისი, ხალიჩებით მოვაჭრე) და რომელიც ამჟამად ლონდონის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში 35 დაწყებით და საშუალო სკოლას მართავს. აკადემიებისთვის ბრძოლის ხაზი გადის ბაზრის წილის დამყარებაზე მანამ სანამ მათი არაკომერციული, საქველმოქმედო სტატუსი (რომლის მიხედვითაც უფროსი მენეჯერების უზარმაზარი ხელფასები თითოეული ჩარიცხული სტუდენტის მიხედვით გადასახადების გადამხდელთა ფულის ყველაზე დიდი ნაწილისგან არის შემდგარი) საბოლოოდ არ გარდაიქმნება სრულფასოვან მოგებაზე ორიენტირებულ ოპერაციებად. მაშასადამე, განათლება, სხვა საჯარო სერვისების მსგავსად, შემოსავლის წყარო ხდება რენტის მაძიებელი, პარაზიტული კაპიტალიზმისთვის, რომლის კაპიტალდაბანდებაც პროდუქტიულ სექტორში, განსაკუთრებით დიდ ბრიტანეთში, მინიმალურია.

რა ემართება განათლების მეშვეობით წინსვლის ლიბერალურ წარმოდგენას, როდესაც ეკონომიკა სელექციურია დაბალანაზღაურებადი და დაბალკვალიფიციური სერვისის სექტორით „პროლეტარებისთვის,“ ხოლო სპეციალისტებისთვის, ფინანსური სერვისებით, უძრავი ქონებითა და სარეკლამო ბიზნესებით - სამუშაოებით, რომლებიც მნიშვნელოვანი ხარისხით მოითხოვენ ინსტიტუციონალიზებულ სიცრუეს? განათლების მეშვეობით პროგრესი თავად ხდება ტყუილი - გარდა იმ ელიტებისა, რომლებიც კერძო სკოლებისა და ოქსბრიჯის მეშვეობით საქმდებიან მოწინავე პოზიციებზე და შემდეგ ბატონობენ სახელმწიფო აპარატზე, ბიზნესის სექტორსა და მედიაზე. სოციალური მობილობისა და სიღარიბის კომისიის უახლესმა ანგარიშმა, arch-Blairite პარლამენტის წევრის ალან მილბურნის თავმჯდომარეობით, აღიარა განათლების მეშვეობით ელიტების დომინაცია. მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკურ სფეროში, ლიბერალიზმს შეუძლია პრობლემის ამოცნობა, მას არ შეუძლია აღიაროს რომ პრობლემის რეალური წყარო ჩავარდნილი ეკონომიკური სისტემის (კაპიტალიზმის) მიერ ნაწარმოებ გადაუვალ უთანასწორობებშია და ჯერ კიდევ ვერ გვთავაზობს მათი გადაჭრის გზებს, რადგანაც ეს აუცილებლად ნიშნავს კერძო საკუთრებისა და ბაზრის პრეროგატივების ხელყოფას.

თუ განათლება კარგად მუშაობს ელიტებისთვის, რეცეპტები, რომლის მიხედვითაც შესაძლებელია ავამუშავოთ იგი უძრავლესობისთვის, ხდება უფრო და უფრო სასოწარკვეთილი და მოცული იმგვარი ლოგიკით, რომელიც პირველ რიგში პრობლემებს ინვესს.

განათლების ფარგლებში, „დასაქმების შესაძლებლობა“ უმრავლესობისთვის, რომელიც არ სარგებლობს პრივილეგიათა ქსელებით, სულ უფრო ხშირად იქცევა ტვირთად და ემუქრება სასწავლო გეგმის გარდაქმნას იმის შესაბამისად, თუ რა სურვილები და საჭიროებები აქვს ბიზნესს, ბიზნეს აზროვნების მქონე აკადემიკოსების აზრით. დასაქმების დღის წესრიგში სხვა რამ უნდა იდგეს, ვიდრე სტუდენტების მომზადება, რომ უკეთ გაუწიონ ერთმანეთს კონკურენცია, რადგან ეს ვერ შეცვლის თანაფარდობას რეალურად არსებულ სამუშაო ადგილებსა და კურსდამთავრებულებს შორის, რომლებიც თავიანთი აკადემიური ხარისხის შესაბამის სამსახურებს ეძებენ. ამის მიღწევა მხოლოდ რეგრესული ქმედებით, უნივერსიტეტში წასული ადამიანების რაოდენობის შემცირებით შეიძლება, - ან უფრო მეტი ინვესტიციის გამოყოფით ეკონომიკაში, როგორც კერძო ისე საჯარო სექტორის მხრიდან, მათ შორის სოციალურ ეკონომიკაში. თუმცა, ეს უკანასკნელი მოითხოვს დაპირისპირებას კაპიტალთან და მის მიერ საბანკო და ფინანსურ სისტემებში სიმდიდრის ფართო კონცენტრირებასთან.

კაპიტალიზმისთვის უნივერსალური და მაღალი ხარისხის განათლების საჭიროება დიდი ალბათობით, მალე დაიკლებს. პროდუქტიულ ეკონომიკაში ინვესტიციების ნაკლებობა გვიჩვენებს რომ კაპიტალის მამოძრავებელმა ძალამ, რომელიც პასუხისმგებელია მგანაწილებასა და დაგროვებაზე, კრაზი განიცადა. ახალი ტექნოლოგია გააგრძელებს სამუშაოების ჩანაცვლებას; გლობალიზაცია განაგრძობს კაპიტალის აღმოსავლეთისკენ გადასროლას

მოგების მიზნით იაფი შრომითი ძალის ძიებაში. მაგრამ, დრო იწურება. მალე შრომითი ძალა აღმოსავლეთში იმავე მოთხოვნებს წაუყენებს კაპიტალს, რამაც დასავლეთში იგი „არახელმისაწვდომი“ გახადა. შემდეგ სად წავა კაპიტალი? რა დაემართება დემოკრატიას? ვიმედოვნოთ, კრიტიკული განათლების წყაროებზე საკმაო რაოდენობის ადამიანებს მიუწვდებათ ხელი - რომლებიც ახლა შესაძლოა მიგრირდებოდნენ ფორმალური სასკოლო/საუნივერსიტეტო სისტემისგან - არა მხოლოდ, პრობლემების ფუნდამენტურად დიაგნოზირებისათვის, არამედ სოციალური სიმდიდრის კერძო მფლობელობის ჩარჩოს გარეთ არსებული გამოსავლების შეთავაზებისთვისაც. შემდეგ სიტყვები კვლავ დაიბრუნებენ თავიანთ მნიშვნელობებს.

უმაღლესი განათლება და მგარდი უთანასწორობა

ავტორი: სიმონ მარგინსონი

თარგმნა მარიამ პაიჭაძემ.

დღესდღეობით უმაღლესი განათლება სოციალური მობილობის ინსტრუმენტის როლის შესრულების ნაცვლად, უთანასწორობას აძლიერებს.

ბოლო ათწლეულების განმავლობაში, ყველა ქვეყანაში შეინიშნება უმაღლესი განათლების მიღების მსურველთა, მათ შორის, დაბალი შემოსავლის წყაროს მქონე ოჯახებიდან გამოსული სტუდენტების რიცხვის სწრაფი ზრდა. მაგრამ შეიქმნა ამის წყალობით უფრო თანასწორი საზოგადოებები?

ავიღოთ აშშ-ს მაგალითი, რომელიც დღემდე წარმოადგენს მრავალმხრივ მოდელსა და ქმნის ტენდენციებს დასავლური სამყაროსთვის, საზოგადოების, ეკონომიკისა და უმაღლესი განათლების განხრით. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ეკონომიკური და სოციალური უთანასწორობის უკიდურეს ფორმებს მიაღწია, მცირდება სოციალური მობილობა და უმაღლესი განათლებას არ შესწევს ამის კომპენსაციის ძალა - მეტიც,

სინამდვილეში, უმაღლესი განათლება თავად გახდა უფრო დანაწევრებული. საუკეთესო კერძო უნივერსიტეტებზე წვდომას ფლობს მაღალი საშუალო კლასი, სამუშაო ძალის წილის ზრდა შეჩერებულია და დაბალი შემოსავლის მქონე ოჯახებში უნივერსიტეტის დასრულების სტატისტიკა იმედისმომცემად ნამდვილად არ გამოიყურება. უთანასწორობა იზრდება ასევე კანადაშიც, თუმცა სოციალური მობილობის მაჩვენებელი, დაბალი შემოსავლის მქონე ოჯახებიდან და პერიფერიებიდან წარმატების მიღწევის შესაძლებლობები კანადაში ბევრად მაღალია, ვიდრე სხვა ინგლისურენოვან ქვეყნებში.

ეს სტატია ერთად აქცევს იმას, რაც ვიცით ეკონომიკური და სოციალური უთანასწორობების შესახებ, იმასთან ერთად, რაც უმაღლესი განათლების გზით სოციალური წესრიგის შესახებ ვიცით. თომას პიკეტი თავის წიგნში „კაპიტალი 21-ე საუკუნეში“ ისტორიული მიდგომით უთანასწორობისადმი გვიჩვენებს იმ მნიშვნელოვან მაგალითებს, რომლებიც ბოლო სამი ათწლეულის განმავლობაში წამოიშვა.

ეკონომიკური უთანასწორობა

პიკეტი გამოთქვამს ვარაუდს, რომ შემოსავლებში არსებული უთანასწორობა დაკავშირებულია სახელფასო სხვაობებთან, თუმცა ამასთანავე, კაპიტალიდან მიღებულ შემოსავალთან, როგორცაა ქონება. ადამიანთა უმრავლესობა თავიანთ შემოსავალს სამსახურის ანაზღაურებიდან იღებს და მხოლოდ ზედა 0.1%-ს აქვს შემოსავა-

ლის უდიდესი ნაწილი კაპიტალიდან (სიმდიდრიდან), როგორცაა სახელმწიფო ობლიგაციები, აქციები, ინვესტიციები და ქონება. სიმდიდრე ბევრად უფრო კონცენტრირებული სახით გვევლინება, ვიდრე შრომიდან მიღებული შემოსავალი. შრომიდან მიღებული შემოსავლის მქონეთა ზედა 10%, ჩვეულებრივ, მთელი შრომითი შემოსავლის 20-დან 35%-მდე იღებს, გააჩნია ქვეყანას. კაპიტალიდან მიღებული შემოსავლის მქონე ფიზიკურ პირთა ზედა 10%, ჩვეულებრივ, უზრუნველყოფილია კაპიტალიდან არსებული ყველა შემოსავლის 50-დან 90%-ით, ისევ და ისევ ქვეყნიდან გამომდინარე.

მოსახლეობის ზედა 10%-ის, 1%-ისა თუ 0.1%-ის ხელში სიმდიდრისა და შემოსავლის კონცენტრაციის შემთხვევები სულ უფრო ხშირად გხვდება ქვეყნების უმრავლესობაში. ჩვენ ვხედავთ შემოსავლის კონცენტრაციის უკიდურეს შედეგებსაც. რაც უფრო მაღლა ავდივართ შემოსავლის შკალაზე, მით უფრო ფართოვდება კერძო პირების სიმდიდრეც - ზედა 0.01%-ში შემოსავლის პროპორციული ზრდა უფრო ხშირია, ვიდრე ნებისმიერ უფრო დიდ ჯგუფში. კონცენტრაციის ზრდა განსაკუთრებით მკვეთრია აშშ-სა და დიდ ბრიტანეთში. ულტრამდიდარი ადამიანები დანარჩენი სამყაროსგან განცალკევებით დგანან. ისინი გადასახადებს დაბალი ტარიფებით იხდიან, მაღავენ სიმდიდრეს ოფშორებში და მათი შემოსავლები მუდამ მზარდია, მაშინაც კი, როდესაც სხვა ადამიანთა შემოსავლები კლებას ან სტაგნაციას განიცდიან. მათ არ ექმნებათ

სირთულეები საჯარო სერვისების შეზღუდული დაფინანსებით დაბალი საგადასახადო პოლიტიკის მქონე ქვეყნებში, ვინაიდან შეუძლიათ საკუთარი მაღალხარისხიანი კერძო სერვისები შეიძინონ. პიკეტის მონაცემებით, სიმდიდრისა და უთანასწორობის ეკონომიკურ ისტორიაში ჩვენ დრამატულ რეგრესს ვხედავთ, რომელიც პირველი მსოფლიო ომის წინა პერიოდში გვაბრუნებს.

შესაძლებლობათა თანასწორობის აღორძინება

მე-19 საუკუნესა და მე-20 საუკუნის დასაწყისში საზოგადოებაზე მდიდარი ოჯახების მცირე ჯგუფი დომინირებდა, რომელიც ფლობდა რესურსების დიდ ნაწილს. განათლება და შრომისმოყვარეობა საკმარისი არ იყო ზედა ეშელონებში მოსახვედრად - სახელფასო შრომაზე დამოკიდებული ადამიანები, რომელთაც უფრო მაღალ ფენაში სურდათ გადანაცვლება, ვერ აღწევდნენ კომფორტის იმ დონეს, რომლის უზრუნველყოფაც მემკვიდრეობით მიღებული სიმდიდრით იყო შესაძლებელი.

თუმცა, მოცემულობა მკვეთრად შეიცვალა 1914-1945 წლებში, ორი მსოფლიო ომისა და დიდი დეპრესიის შედეგად, რამაც შეამცირა ან რიგ შემთხვევებში აღმოფხვრა არაერთი დიდი სიმდიდრის წყარო. მეორე მსოფლიო ომმა მაჩვენებლები 0-ზე დაიყვანა, რაც სიმდიდრის განახლებასა და აღდგებას საჭიროებდა - შედეგად, საზოგადოების საშუალო და მაღალ ფენებში ბევრი ადგილი გათავისუფლდა სოციალური მობილობისთვის. საბოლოო ჯამში, ეს პერიოდი გარდამავალი ფაზა აღმოჩნდა. ამის მიუხედავად,

სოციალური და ეკონომიკური ღიაობის პერიოდი დიდხანს გაგრძელდა, ვინაიდან სიმდიდრის შექმნა ნაწილობრივ დემოკრატიული გახდა, განსაკუთრებით აშშ-ში. ასევე სოციალურ ღიაობას ხელი შეუწყო 1945 წლის შემდგომ არსებულმა მაღალი ეკონომიკური ზრდის ხანგრძლივმა პერიოდმა, რამაც შესაძლებელი გახადა საშუალო კლასის გაფართოება და ამით კიდევ უფრო გაზარდა მაღალ სოციალურ საფეხურზე მობილობის შესაძლებლობებიც.

აშშ სახელმწიფოს ჩარევა „ახალი კურსით“ (New Deal); ბრიტანეთში ბევერიჯის კეთილდღეობის სახელმწიფოს დღის წესრიგის განვითარება; ომის დაგეგმარება; გაძლიერებული ეროვნული დაბეგვრა და მშრომელთა კლასის გამომხატველი კომუნისტური ბლოკის გამოწვევების საპასუხოდ, დასავლეთის პოლიტიკებში „დემოკრატიული სოციალიზმისკენ“ მობრუნება - ყველაფერი ერთად ხელს უწყობდა და შესაძლებელს ხდიდა უფრო სამართლიანი წესრიგის მისაღწევად შექმნილ პოლისებს უმაღლეს განათლებასა და სხვა სფეროებში. აშშ-ში 1944 წელს სამხედრო მოსამსახურეთა რეგულირების აქტში (G.I. Bill) არსებულმა პასაჟმა უმაღლესი განათლების მზარდი აფეთქება გამოიწვია. იგი დიდ ფინანსურ დახმარებას უწევდა ვეტერანებს სწავლისა და ცხოვრების ხარჯებისთვის, რითაც მილიონობით ამერიკელისთვის ხელმისაწვდომს ხდიდა უმაღლეს განათლებას, რაც ქვეყნის სახეზეც პოზიტიურად აისახებოდა. პარალელურად, ომის შემდგომ, უმაღლეს სასწავლებლებში ჩარიცხვის პოლიტიკა სხვა ქვეყნებშიც

შეიცვალა, მათ შორის, ჩემს მშობლიურ ავსტრალიაშიც. უმაღლესი განათლება ბევრმა ისეთმა სტუდენტმა მიიღო, რომელსაც მანამდე ამის შესაძლებლობა არასდროს ჰქონია.

1950-იან და 1970-იან წლებში არსებული პერიოდი ინგლისურ-ენოვან სამყაროში, დასავლეთ ევროპასა და იაპონიაში მერიტოკრატიის აყვავების ერა იყო. განსხვავებები შრომის ანაზღაურებაში მოკრძალებული იყო. გაჩნდა ახალი, საკუთრების მქონე საშუალო კლასი, რომელიც ისევე ავრცელებდა სიმდიდრეს, როგორც შემოსავალს. მოკლე ხნის განმავლობაში 1970-იან წლებში მემკვიდრეობით მიღებული სიმდიდრე მთელი კერძო კაპიტალის უმცირესობას წარმოადგენდა.

უდიდესი როლი დაეკისრა სკოლაში სწავლებასა და უმაღლეს განათლებას, რომელიც იქცა დემოკრატიულ მექანიზმად სოციალურად სამართლიანი ელიტიდან ასპირანტების შესარჩევად, რაც დაფუძნებული იყო შრომასა და განათლებაში ჩადებულ ღვაწლში და წარმოადგენდა კაპიტალის ბაზრებისა და მემკვიდრეობითობის ალტერნატივას.

მერიტოკრატიიდან პლუტოკრატიამდე

პიკეტი აჩვენებს რომ 1970-იან და 1980-იან წლებში სკანდინავიაში, აქამდე არსებულ ყველაზე თანასწორ საზოგადოებებში, შემოსავლის მქონეთა ზედა 1% შემოსავლის სახით ყველანაირი წყაროდან, როგორც შრომიდან, ასევე კაპიტალიდან იღებდა არსებული ყველა შემოსავლის 7%-ს. 2010 წელს ევროპაში ზედა 1% იღებდა 10%-ს

ყველა შემოსავლიდან. ამასთანავე, 2010 წელს აშშ-ს ზედა 1% ბევრად დიდ წილს ფლობდა შემოსავლებში - 20%-ს. თუ დღეს არსებული ტენდენცია გაგრძელდება, პიკეტის პროგნოზით, 2030 წლისთვის ეს მაჩვენებელი 25% იქნება.

შემოსავლების მიმღებთა ქვედა 50%-ის გადანაწილება შემდეგნაირია: 1970-იანი და 1980-იანი წლების სკანდინავიაში მთელი შემოსავლების 30%; 2010 წელს 25% ევროპაში; თუმცა მხოლოდ 20% აშშ-ში 2010 წელს. პიკეტი ვარაუდობს, რომ ეს რიცხვი აშშ-ში 2030 წლისთვის მხოლოდ 15% იქნება. გასაოცარია, რომ 2010 წლისთვის ამერიკაში აღდგენილ იქნა 1910 წელს ევროპაში არსებული შემოსავლის უაღრესად უთანასწორო გადანაწილება, თუმცა ამ შემთხვევაში ეს უფრო შრომითი შემოსავლის უთანასწორობის გზით მოხდა, ვიდრე კაპიტალისგან არსებული შემოსავლის. აშშ-ში შემოსავლის განსაკუთრებით მაღალი უთანასწორობების მთავარი მამოძრავებელი „სუპერ-მენჯერების“ ხელფასები (რაც სათავეს იღებს 1981 წლიდან, როდესაც რონალდ რეიგანმა საჰაერო მიმოსვლის კონტროლიორების გაფიცვა ჩაახშო) და რეიგანი/ბუში/ბუშის მიერ გადასახადების შემცირებაა. შემოსავლების გადანაწილების თვალსაზრისით აშშ უკვე არის ყველაზე უთანასწორო საზოგადოება თანამედროვე ისტორიაში, მაგრამ ამან შეიძლება უარესი ფორმები შეიძინოს.

შემდგომ თაობებში ბალანსი ხელფასების უთანასწორობასა და სიმდიდრის უთანასწორობას შორის სიმდიდრისკენ გადაიხრება. შემოსავლებს შორის არსებული უთანასწორობა ითარგმნება

საკუთრების და სიმდიდრის სხვა ფორმებს შორის არსებულ უთანასწორობაში და თაობებს გაჰყვება. ის, ვინც ფლობს ყველაზე დიდ სიმდიდრეს, კაპიტალიდან მოგების ყველაზე მაღალი მაჩვენებლებიც აქვს, რაც შემდგომ სიმდიდრის კონცენტრაციას იწვევს. ამ საკითხის საილუსტრაციოდ პიკეტის მოჰყავს უნივერსიტეტთა მონაცემები, ვინაიდან ეს ინფორმაცია საჯაროა: ჰარვარდის უნივერსიტეტი ყოველწლიურად 10%-ზე მეტს იღებს დაროვილი კაპიტალიდან, მაშინ როდესაც დანარჩენი უნივერსიტეტების საშუალო მაჩვენებელი 6%-ს შეადგენს. თუ ხელფასებს შორის უთანასწორობა მომავალშიც გაიზრდება, ამ უთანასწორობის ორი წყარო, შრომიდან და კაპიტალიდან, ერთობლივად გაიზრდება. ეს იმაზე მეტყველებს, რომ უთანასწორობის თვალსაზრისით ჯერ კიდევ ბევრი რამ გველის წინ. მონაცემები სულ უფრო მეტად დაემსგავსება ინდუსტრიამდელი სამყაროსთვის დამახასიათებელ შემოსავლის გადანაწილებას.

1928 წლის დიდ დეპრესიამდე აშშ-ში ყველაზე მაღალი შემოსავლის მქონე 0.01% - ანუ, ერთი ადამიანი ყოველ 10,000-ში, ნამდვილი პლუტოკრატით - იღებდა მთლიანი შემოსავლის 5%-ს. ამ ადამიანთა წილი შემცირდა 2%-მდე და არ დაბრუნებია ამ ნიშნულს 1998 წლამდე, ორი ათწლეულის შემდეგ, გადასახადების შემცირებისა და „სუპერ-მენეჯერების“ ხელფასების გაზრდის შემდეგ. შემდგომ, ამ მაჩვენებელმა 2007 წელს ისტორიულ მაქსიმუმს მიაღწია - 6%-ს, რაც დაეცა რეცესიის დროს, თუმცა ერთი

წლის შემდეგ ისევ დაუბრუნდა აღნიშნულ ნიშნულს და კვლავ ბემოთ ინევს.

დიდი ბრიტანეთში, ავსტრალიასა და კანადაში აშშ-ს მსგავსი სიტუაციაა, თუმცა ტენდენციები ისეთი აღმაშფოთებელი არაა. სკანდინავიის ქვეყნებში შემოსავლებს შორის განსხვავებები ყველაზე მცირეა. საფრანგეთში, გერმანიასა და იაპონიაში საშუალო მაჩვენებელია, ხოლო ბრაზილიაში უთანასწორობა სულ უფრო იკლებს. ეს განსხვავებები აჩვენებს რომ ისტორიული, ინსტიტუციონალური და პოლიტიკურ ფაქტორები გარკვეული როლს თამაშობენ და მემკვიდრეობითი კაპიტალის დაგროვების ტენდენცია არავითარ შემთხვევაში არ არის გარდაუვალი.

სოციალური სტრატეგიკაცია აშშ-ს უმაღლეს განათლებაში

რაც შეეხება უმაღლეს განათლებას, როგორც ეკონომისტი ჯომეფ შტიგლიცი გვამცნობს, „კარგ განათლებაზე ხელმისაწვდომობა უმეტესწილად დამოკიდებულია მშობლის შემოსავალზე, განათლებასა და სიმდიდრეზე, ეს ეხება როგორც საშუალო სკოლის, ასევე კოლეჯის საფეხურს.

თავის წიგნში Degrees of Inequality სიუზან მეტლერი აღნიშნავს რომ 1970 წელს სტუდენტთა 40%-მა, რომელთა ოჯახებიც ყველაზე მაღალშემოსავლიან ფენას მიეკუთვნებოდნენ, აკადემიური ხარისხი 24 წლამდე მიიღო. 2013 წლისთვის ამ მონაცემმა 77%-ს მიაღწია. დაბალი შემოსავლის მქონე ოჯახებიდან 1970 წელს უმაღლესი

განათლების ხარისხის მოპოვება მხოლოდ 6%-მა შეძლო. 2013 წლისთვის, ანუ ნავარაუდები თანასწორობის 43 წლის შემდეგ, ამ მაჩვენებელმა მხოლოდ 9%-ს მიაღწია.

უმაღლეს სასწავლებლებში გადასახდის დაფარვის და შესარჩევი ადგილებისთვის კონკურენციის არათანაბარ პირობებს დაემატა მზარდი სტრატეგიკაცია თავად ინსტიტუციებს შორის და ეს იერარქია მკვეთრად მატულობს. სკოტ დეივისის და დევიდ ბარიფას მიერ ჩატარებული კვლევა აშშ-სა და კანადაში ცხადყოფს, რომ ინსტიტუტები, რომლებიც უპირატესი პოზიციიდან იწყებენ საქმიანობას, ამაზე დაყრდნობით, დროთა განმავლობაში თავიანთ მდგომარეობას აუმჯობესებენ. ასე ხდება საბაზრო კონკურენციის დროს, როდესაც პროცესი არ კორექტირდება შესაბამისი პოლიტიკით. რესურსების კონცენტრაციასა და სტუდენტებთა შეჩევას შორის კავშირი წლების განმავლობაში კიდევ უფრო ძლიერდება.

ეს ბალებს კითხვას, არის თუ არა აკადემიური ხარისხის დაფასება შრომით ბაზრებზე მზარდად უთანასწორო. რთულია ერთმანეთისგან განასხვავო ინსტიტუციის ეფექტები (ე.წ. ბრენდის ეფექტი) სოციალური და აკადემიური უპირატესობები, რომლებითაც სარგებლობენ ელიტური უნივერსიტეტების მომხმარებლები მოხვედრისთანავე, სოციალური ფონის გავლენა შრომითი ბაზრის შედეგებთან შუამავლობაში და სწავლების შედეგები. მტკიცებულებები არაერთგვაროვანია, მაგრამ აშშ-ში (ასევე დიდ ბრიტანეთსა და ჩინეთში) ჩატარებული კვლევები ცხადყოფს, რომ ინსტიტუტის ბრენდი გავლენას ახდენს აკადემიური ხარისხის დაფასებაზე.

ელიტარულ ინსტიტუტებზე ხელმისაწვდომობა მკვეთრად არის დიფერენცირებული სოციალური ჯგუფების მიხედვით. ჯობეფ სოარესმა აჩვენა რომ აშშ-ში პირველი კლასის კერძო უნივერსიტეტების სტუდენტთა 64% იმ ოჯახებიდანაა, რომლებიც შემოსავლების მიხედვით ზედა 10%-ს წარმოადგენენ. იელის უნივერსიტეტის მისაღები საბჭოს დეკანის თქმით, ამერიკული ოჯახების მხოლოდ 5%-ს შეუძლია მთლიანი გადასახადის დაფარვა. თუმცა ბევრი ღარიბი სტუდენტი არ ხვდება ელიტურ უნივერსიტეტებში მიღების სანყის საფეხურზეც კი. ქეროლან ჰოქსისა და კრისტოფერ ეივერის ბოლოდროინდელმა კვლევებმა აჩვენა რომ დაბალი შემოსავლისა და მაღალი აკადემიური მოსწრების მქონეთა აბსოლუტური უმრავლესობა არ აბარებს არცერთ რთულად მოსახვედრ კოლეჯში.

ზედა ფენაში მზარდ სტატიფიკაციასთან ასოცირდება მასობრივი უმაღლესი განათლების სუსტი და დამასუსტებელი სტატუსიც. ის სუსტდება სახელმწიფო განათლების სისტემიდან თითოეული სტუდენტისთვის განკუთვნილი დაფინანსების ნაწილობრივი მოხსნით, ასევე დაბალხარისხიანი კერძო კომერციული უმაღლესი განათლების წახალისებით (რომელიც ინტენსიურად სუბსიდირდება აშშ-ს ფედერალური სესხებით) და ონლაინ კურსებით, რომლებიც ანაცვლებენ სახელმწიფოთი გარანტირებულ პირობებს. უმაღლესი განათლება არ არის პასუხისმგებელი აშშ-ში შემოსავლების უკიდურეს უთანასწორობაზე, რომელიც მომდინარეობს შრომის ბაზრიდან და საგადასახადო პოლიტიკიდან. თუმცა ეს უთანას-

წირობები, ეჭვგარეშეა, ძირს უთხრიან უმაღლესი განათლების მერიტოკრატიულ ლოგიკას და ხელს უწყობენ უმაღლესი განათლების მხარდაჭერისა და მისთვის სახელმწიფო დაფინანსების შესუსტებას.

თანაბარი შესაძლებლობებისთვის არსებული პირობები შესუსტდა

თანაბარი შესაძლებლობებისთვის არსებული პირობები ოთხი უმნიშვნელოვანესი მიმართულებით შესუსტდა არა მხოლოდ აშშ-ში, არამედ ბევრ ქვეყანაში.

უპირველესად, ინგლისურენოვან სამყაროში, ყოფილ საბჭოთა ბლოკში, აღმოსავლეთ აზიისა და ლათინური ამერიკის დიდ ნაწილში ჩართულობის ზრდასთან ერთად, მცირდება ერთ სულ მოსახლეზე უმაღლესი განათლების დაფინანსების ოდენობა. სწავლის გადასახადის ზრდა გავლენას ახდენს სოციალურ ხელმისაწვდომობაზე, განსაკუთრებით კი ელიტარულ კერძო უნივერსიტეტებში. ამ სიტუაციას ნაწილობრივ გამოასწორებდა უფასო სწავლება (თუმცა გულუბრყვილოა ვიფიქროთ, რომ ეს საკმარისი იქნებოდა სოციალური და კულტურული უთანასწორობების დასაძლევად შერჩევის ეტაპზე), მაგრამ პრობლემა იმაში მდგომარეობს რომ გადახდა არ მოხდება გადასახადებიდან მიღებული შემოსავალიდან. ეს ქმნის მანკიერ წრეს - გადასახადის გადამხდელი მხარს არ უჭერს შესაძლებლობების თანასწორობას, როგორც საზოგადოებრივ სიკეთეს, ასე რომ, სახელმწიფო

დაფინანსება მცირდება, რაც თავის მხრივ, ამცირებს შესაძლებლობათა თანასწორობას და მის შესახებ მსჯელობასაც აქრობს.

გამოკვლევების თანახმად, სწავლის მოვალეობის შეგრძნება როგორც სტუდენტებს, ისე ინსტიტუციებს შორის მცირდება, განსაკუთრებით კი აშშ-ში. რთულია ამ ფენომენის სრულად განმარტება, თუმცა არსებობს გარკვეული მტკიცებულებები, რომელთა მიხედვითაც სწავლების შინაარსიდან ყურადღება გადავიდა განათლების სელექციურ ფუნქციაზე, საგანმანათლებლო იერარქიაში ნავიგაციაზე, სტუდენტთა, როგორც მომხმარებელთა კმაყოფილებასა და დიპლომების მიხედვით შეფასებაზე, ანუ იმ ასპექტებზე, რომლებიც ხაზგასმულია პოზიციურ ბაზარზე. ეს პრაქტიკები არღვევს კავშირს შრომისმოყვარეობას, შინაარსსა და განათლებიდან გამომდინარე არსებულ შედეგებს შორის. ეს გარიყავს მძიმე სოციალური ფონის მქონე მოწადინებულ სტუდენტებს სწავლების იმ მექანიზმებიდან, რომლებშიც მათ ინვესტიციის ჩადება შეეძლებათ და მეტ ყურადღებას უთმობს სოციალურ და კულტურულ კაპიტალს, რომელსაც ისინი არ ფლობენ. ეს იმდენადვე ფატალურია შესაძლებლობების თანასწორობისთვის, როგორც ფინანსური ბარიერები.

მესამე, რასაც უნდა მივაქციოთ ყურადღება, არის რომ უმაღლესი განათლების სისტემების ფორმა სულ უფრო ვერტიკალურ სახეს იძენს - უნივერსიტეტის იერარქია სულ უფრო მძაფრდება. მსოფლიოს მასშტაბით სულ უფრო იზრდება ყურადღება „საერთაშორისო დონის“ უნივერსიტეტების მიმართ. როგორც ჩანს, ახლა

ყველა ერს სურს ჰქონდეს ამერიკული სამეცნიერო მრავალ-ფეროვნების საკუთარი ვარიანტი - ისეთი ინსტიტუტი, რომელიც გლობალურ რეიტინგში ფიგურირებს, თუმცა ისინი ნაკლებად ზრუნავენ უმაღლესი განათლების ფართო ხელმისაწვდომობის კუთხით სკანდინავიური ხარისხის მიღწევაზე.

საერთაშორისო დონის უნივერსიტეტების ჩამოყალიბება არ წარმოადგენს პრობლემას თანაბარი შესაძლებლობებისთვის, იმ პირობით, თუ სექტორის დანარჩენი ნაწილიც გაუმჯობესდება. ამასთანავე, მსოფლიოს უდიდეს ნაწილში, საერთაშორისო დონის უნივერსიტეტების მომრავლება შერწყმულია უმაღლესი განათლების ხარისხის კრიზისთან. აქ იჩენს თავს სახელმწიფოს უკან დახევაც. ბევრ სისტემაში უმეტესი წილი მოდის საექვო საფასურის მქონე კერძო ინსტიტუტებში ჩარიცხვებზე.

მეოთხე - გადაცემის ფუნქცია, ანუ მასობრივ და ელიტურ ინსტიტუციებს შორის მიმოცვლის პოტენციური უმეტეს ადგილებში სუსტია ან სრულიად არ არსებობს. გადაცემის ფუნქცია არ იყო მყარი კალიფორნიაშიც კი, სადაც ის კალიფორნიის უნივერსიტეტის სისტემის ორიგინალური გენერალური გეგმის ნაწილი იყო და იშვიათად განვითარებულა სხვაგან.

საით მივემართებით აქედან?

ასე რომ, ჩვენ ერთი მხრივ გვაქვს მზარდი ეკონომიკური და სოციალური უთანასწორობა და მეორე მხრივ, უმაღლესი განათლების იერარქიული სისტემა, რომელზეც ვრცელდება სოციალურად

დიფერენციურებული წვდომა, ისევე როგორც მის ყველაზე მაღალ საფეხურებზე. დიფერენცირების მეორე ფორმა სულ უფრო და უფრო ჩრდილავს პირველს, ამიტომ ყველაზე მნიშვნელოვან კითხვას წარმოადგენს არა ხელმისაწვდომობა, არამედ ის, თუ რაზეა ეს წვდომა.

რამდენად, რა მასშტაბით, არის განათლებაში არსებული უთანასწორობა თავისთავად მიზეზობრივი ან რამდენად არის იგი უთანასწორობის უფრო დიდი მასშტაბების ამსახველი? რასაკვირველია, ყველა ეს სტუქტურა და პროცესი არის ინტერაქტიური და გარკვეულწილად ურთიერთგანმსაზღვრელი.

ცხადია, უმაღლესი განათლება მხოლოდ მეორეხარისხოვან როლს თამაშობს მეგა-მდიდრების პოზიციათა შენარჩუნებაში. უმაღლესი განათლება არ არის ამ მასშტაბის უთანასწორობის წარმომშობი, თუმცა ეჭვგარეშეა, რომ უმაღლესი განათლების სფერო ხელს უწყობს მაღალ და საშუალო ფენებს შორის უფსკრულის გაღრმავებას.

თუ სადმე განათლებას შეუძლია დიდი გავლენის მოხდენა, ეს არის მობილობის შესაძლებლობების ზრდა. ამ პერსპექტივას კი, ზღუდავს პრესტიჟულ უნივერსიტეტებში მაღალი საშუალო ფენის ოჯახების დომინაცია. ეს ის ძირითადი სფეროა, სადაც უნდა კონცენტრირდეს რეფორმათა ძალისხმევა. განათლება სოციალური ურთიერთობების საკითხია. ჩვენზე გავლენას მაღალი ხარისხის საგანმანათლებლო დაწესებულებების ადგილების რაოდენობა და ღირებულება ახდენს, ამასთანავე ისიც, რაც არეგულირებს ამ ადგილებში მოხვედრას.

ჩვენ უნდა დავამტკიცოთ უმაღლესი განათლების, როგორც საზოგადოებრივი სიკეთის როლი. ამასთანავე, უნდა წარმოვაჩინოთ იგი უფრო მეტად როგორც პასუხი სოციალურ და ეკონომიკურ უთანასწორობაზე, ვიდრე ამ უთანასწორობის ამაღლების მექანიზმი, ან ინდივიდუალური და კოლექტიური პოზიციის ამაღლების შებენიანი შესაძლებლობა.

ჩვენ უნდა ავაშენოთ მეტად თანასწორუფლებიანი უმაღლესი საგანმანათლებლო სისტემები, უფრო ფართოდ განაწილებული შესაძლებლობებით ღირებულებების შესაქმნელად. ეს გააძლიერებს კავშირს უმაღლეს განათლებასა და სოციალურ შედეგებს, შესაძლებლობებს შორის. ელიტარულ ინსტიტუტებში საჭიროა უფრო სამართლიანი შერჩევა და ამ უნივერსიტეტებში მოსახვედრაც ფინანსური ბარიერების აღმოფხვრა. საჭიროა შეიქმნას უნივერსიტეტები საშუალო კლასისთვის, თუმცა ეს არ უნდა მოხდეს ზედა ფენაში სწავლებისა და კვლევის ხარჯზე. ჩვენ უნდა გავათანაბროთ ხარისხი ზედა ფენაში და არა მის ქვემოთ.

თუმცა ომისშემდგომი პერიოდის ისტორია გვიჩვენებს, რომ არსებობს ლიმიტები, თუ რამდენადაა შესაძლებელი უფრო თანასწორი საზოგადოების უზრუნველყოფა მხოლოდ უმაღლესი განათლების შეცვლით. ინგლისურენოვან ქვეყნებში მთავარი საკითხია დაბეგვრის წესზე სოციალური შეთანხმების აღდგენა, ზღვეული გადასახადის მაღალი მაჩვენებლის გაზრდა და კაპიტალის დაბეგვრის გაზრდა შემოსავლის დაბეგვრის მსგავსად. ამან შეიძლება დაძრას დემოკრატიული სოციალური ფასეულობებისა

ზრდა და უმაღლესი განათლების, როგორც ფულისა და მემკვიდრეობის ალტერნატივის განმტკიცება, რომელიც სოციალური ჩართულობის, შერჩევის, ინდივიდუალური და კოლექტიური წარმატების განმსაზღვრელი ფაქტორი იქნება.

პაულო ფრეიერს იდეები დღესაც ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც ოდესღაც

ავტორი: პიტერ მაკლარენი

თარგმნა ლაშა ქავთარაძემ.

სოციალისტი განმანათლებელი პაულო ფრეიერი ასი წლის წინ ბრაზილიაში, ქალაქ რესიფიში დაიბადა. დიდი ხნის განმავლობაში ფრეიერის თანამებრძოლი, წამყვანი მარქსისტი პედაგოგი პიტერ მაკლარენი აფასებს თუ რატომ არის ფრეიერის ცხოვრება და მოღვაწეობა განსაკუთრებით რელევანტური დღევანდელი მსოფლიოსთვის. დღეს ბრაზილიელი ფილოსოფოსის პაულო ფრეიერის დაბადებიდან ასი წელი გავიდა. ფრეიერი, რომელიც განსაკუთრებით ცნობილი თავისი გავლენიანი ნაშრომის „ჩაგრულთა პედაგოგიკის“ გამო გახდა, დღესაც გემის მიმცემია სიღარიბისაგან დაღდაჩნულ საზოგადოებებში მომუშავე მასწავლებლებისა თუ უბრალოდ ყველა იმ ადამიანისათვის, ვინც ამ უსამართლო სამყაროში სამართლიანობის განცდის ძიებით არის დაკავებული.

კრიტიკულად მოაზროვნე ყველა განმანათლებელს, ადრე თუ გვიან, ერთხელ მაინც გამოუყენებია ფრეიერი თავის საქმიანობაში - ჩაგრულთა თავდაყირა დამდგარ სამყაროში გათვითცნობიერებისა თუ შთაგონებისთვის, რომელიც მათ უბიძგებდა, რომ მასწავლებლობა ძალაუფლებისა და პრივილეგიების საზოგადოებრივი ასიმეტრიების ამოსაყირავებლად გამოეყენებინათ. გლახთა გაძლიერებისათვის შექმნილი ფრეიერის წერა-კითხვის პროგრამები ამჟამად მთელი მსოფლიოს მასშტაბით სხვადასხვა ქვეყანაში გამოიყენება, ხოლო „ჩაგრულთა პედაგოგიკა“ დღემდე სოციალურ მეცნიერებებში რიგით მესამე, განათლების სფეროში კი რიგით პირველი ყველაზე ხშირად ციტირებული წიგნია.

საყოველთაო ცნობადობამ ფრეიერი მშობლიურ ბრაზილიაში ერთდროულად მხსნელადაც აქცია და თავდასხმების ობიექტადაც. ამჟამად ის მიზანში ჰყავთ ამოღებული რადიკალურ მემარჯვენე დაჯგუფებებს როგორცაა Movimento Brasil Livre და Revoltados Online, პრეზიდენტი ჟაირ ბოლსონარუ კი ამტკიცებს, რომ ბრაზილიური სასკოლო სისტემის მარქსისტული ინდოქტრინაციის უკან სწორედ ფრეიერი დგას.

ფრეიერის მეხსიერებიდან ამოშლის მცდელობები ბოლსონარუს მხრიდან, პრინციპში, ძალიან ჰგავს ამერიკელი რესპუბლიკელების თავდასხმებს კრიტიკული რასის თეორეტიკოსებსა და მარქსისტ განმანათლებლებზე. ბოლსონარუ და მემარჯვენე მოძრაობა Escola sem Partido სკოლის მოსწავლეებს მოუწოდებდნენ, რომ საკლასო ოთახებში მასწავლებლებისთვის ვიდეოები გადაეღოთ, განსაკუთ-

რებით თუკი ეჭვობდნენ, რომ ისინი მემარცხენე იდეების პოპულარიზაციას ეწევიან ანდა კიდევ უფრო უარესი, თუკი ისინი ფრეიერით შთაგონებულ პოლიტიკურ და სოციალურ შეხედულებებს ახალისებდნენ. ერთ-ერთმა ფედერალურმა დეპუტატმა ბოლსონარუს პარტიიდან საკანონმდებლო ინიციატივაც კი წამოაყენა, რომლის თანახმადაც, ფრეიერისათვის უნდა ჩამოერთმიათ „ბრაზილიური განათლების დამცველის“ ფორმალური სტატუსი.

ამერიკელი კონსერვატორებიც არ ჩამორჩნენ ტენდენციას და ფრეიერზე თავდასხმის მიზნით დაძრულ მატარებელს შეახტნენ. ჟურნალ Economist-ის ერთ-ერთ ბოლო ნომერში, სათაურით „არალიბერალური მემარცხენეობიდან მომდინარე საფრთხეები“, შესულია სტატია, რომელიც ეძღვნება ე.წ. „ვოუქ კულტურას“, რომელიც აბსოლუტურად არაგულწრფელად აღწერს ფრეიერის პედაგოგიკას როგორც მათს კულტურული რევოლუციით ნასაზრდოებს. გარდა იმისა, რომ სტატია ჩაგრულთა პედაგოგიკიდან აღებულ ერთადერთ სქოლიოს მოიხმობს არგუმენტად, კიდევ უფრო ხაზგასასმელია ის ფაქტი, რომ ფრეიერმა თავისი ნაშრომი სწორედ მასებისადმი სოლიდარობას მიუძღვნა და იმ ტიპის ძალადობის წინააღმდეგ ილაშქრებდა, რომელიც „კულტურული რევოლუციის“ შემადგენელ ნაწილად იქცა.

მაშ, რატომ ჰყავთ ბოლსონარუსა და ჟურნალ Economist-ს ფრეიერი მიზანში ამოღებული? რა არის მის იდეებში ისეთი, რაც მათ ასე აფრთხობს?

რევოლუციონერი განმანათლებლის ცხოვრება

პაულო ფრეიერი ჩრდილო-აღმოსავლეთ ბრაზილიაში, ქალაქ რესიფიში გაიზარდა გლობალური დიდი დეპრესიის პერიოდში, 1930-იან წლებში. წერა-კითხვა მან მანგოს ხის ტოტებისგან გამოყვანილი ასოებით ისწავლა, რომლის ჩრდილშიც ატარებდა თავის ბავშვობას. პატარაობაში განცდილი სიღარიბე და შიმშილი იყო მიზეზი, რის გამოც ის თავის კლასელებს ოთხი წლით ჩამორჩა, რასაც 1933 წელს მამის სიკვდილიც დაერთო და რამაც მისი მდგომარეობა კიდევ უფრო გაართულა.

მიუხედავად ამ ყველაფრისა, საბოლოოდ, ფრეიერმა მაინც შეძლო და დაამთავრა სკოლაც, უნივერსიტეტიც, 1957 წელს რესიფის უნივერსიტეტში დოქტორის ხარისხიც დაიცვა და იურისტის ლიცენზიაც აიღო (მიუხედავად იმისა, რომ პრაქტიკაში არასდროს უმუშავია იურისტად). პროფესიული კარიერა მან 26 წლის ასაკში დაიწყო როგორც პორტუგალიური ენის მასწავლებელმა ოსვალდო კრუზის საშუალო სკოლაში. 1946 წელს ის დაინიშნა სოციალური სამსახურის განათლებისა და კულტურის დეპარტამენტის დირექტორად, რომელიც დაარსებული იყო პერნამბუკუს შტატში მუშებისა და მათი ოჯახებისათვის ჯანმრთელობასთან, საცხოვრისთან, განათლებასა და დასვენებასთან დაკავშირებული მომსახურებების განვითარებისათვის. 1961 წელს, იგი გახდა კულტურის ხელშეწყობის დეპარტამენტის დირექტორი რესიფის უნივერსიტეტში და ჩართული იყო ისტორიული მნიშვნელობის მქონე საგანმანათლებლო

პროექტში, რომელიც მიზნად ისახავდა წერა-კითხვის არცოდნის პრობლემასთან გამკლავებას 1962 წელს.

1962 წლის წერა-კითხვის გავრცელების პროექტმა რესიფიში ფრეიერს საერთაშორისო აღიარება მოუტანა, განსაკუთრებით ფოლკლორული ტრადიციების გამოყენებისა და ცოდნის კოლექტიური წარმოების მნიშვნელობის წინ წამოწევის გამო. სწორედ აქ დაიწყო ფრეიერმა როგორც თავად უწოდებდა „კულტურული წრეების“ შექმნა - იგი სწორედ ამ ტერმინის გამოყენებას ამჯობინებდა „წერა-კითხვის შემსწავლელი კლასების“ გამოყენებას, რადგან ტერმინები „წერა-კითხვა“ და „წერა-კითხვის არცოდნა“ გულისხმობდა, რომ წერა და კითხვა იმთავითვე მუშათა სოციალური ცხოვრების განუყოფელი ნაწილი იყო.

ერთ-ერთი ასეთი კულტურული წრის ფარგლებში შაქრის ლერწმის მოყვანაზე მომუშავე სამასმა ფერმერმა წერა-კითხვა რეკორდულად მცირე დროში 45 დღეში ისწავლა. გასაგები მიზეზების გამო, ფრეიერის წარმატებით გახარებულმა ბრაზილიის მთავრობამ, რომელსაც პრეზიდენტი ჟოაო გულარტი ედგა სათავეში, გადაწყვიტა 2 000 ფრეიერისეული კულტურული წრის დაარსებისათვის მოემზადებინა გეგმა, რომელიც, იდეალურ შემთხვევაში, ხუთ მილიონ ზრდასრულს მისწვდებოდა და ორწლიან პერიოდში მათ წერა-კითხვას შეასწავლიდა. ქვეყანაში, სადაც მხოლოდ და მხოლოდ ზრდასრული მოსახლეობის ნახევარს შეეძლო წერა და კითხვა, ეს განსაკუთრებით დიდი მიღწევა იქნებოდა.

თუმცა, ეს ასე არ მოხდა. ნაცვლად ამისა, 1964 წელს, მემარჯვენე სამხედრო აჯანყების შედეგად დემოკრატიული არჩევნების გზით არჩეული გულარტის მთავრობა ჩამოაგდეს. ფრეიერს ბრალი დასდეს კომუნიზმის ქადაგებაში, რის გამოც, მის წინააღმდეგ დაიწყო გამოძიება და დაიჭირეს. სამხედრო მმართველობამ იგი ციხეში 70 დღით გამოკეტა, რომლის შემდეგაც ფრეიერი საკუთარი ნებით გაიქცა ქვეყნიდან. ფრეიერს ეშინოდა, რომ წერა-კითხვის გავრცელების ეროვნული კამპანიაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი როლის გამო მოკლავდნენ. მართლაც, ბრაზილიის სამხედრო მმართველობა ფრეიერს „საერთაშორისო მავნებლად“ და „ქრისტესა და ბრაზილიელი ხალხის მოღალატედ“ მიიჩნევდა და ბრალს სდებდნენ, რომ იგი ბრაზილიის „ბოლშევიკურ ქვეყნად“ გადაქცევას ცდილობდა.

სამშობლოდან 16-წლიანი გადასახლება ფრეიერისათვის ერთდროულად შფოთვით აღსავსეც იყო და პროდუქტიულიც: ბოლივიაში გატარებული გარკვეული ხნის შემდეგ, ფრეიერმა ხუთი წელი ჩილეში იცხოვრა, სადაც იგი შეუერთდა ქრისტიან-დემოკრატიული აგრარული რეფორმის მოძრაობას და UNESCO-ს კონსულტანტად მუშაობდა აგრარული რეფორმის კვლევისა და ტრენინგის ინსტიტუტთან. 1969 წელს, იგი ეწვია დეველოპმენტისა და სოციალური ცვლილების ცენტრს ჰარვარდის უნივერსიტეტში, მომდევნო წელს კი ჟენევაში, შვეიცარიაში გადავიდა. ჟენევაში იგი ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს განათლების ოფისში ასრულებდა კონსულტანტის მოვალეობას, სადაც მან შეიმუშავა წერა-კითხვის

პროგრამები ტანზანიასა და გვინეა-ბისაუსათვის, რომლებიც თავიანთი ქვეყნის ხელახალი აფრიკანიზაციაზე აკეთებდნენ აქცენტს. გარდა ამისა, იგი ჩართული იყო პორტუგალიის ყოფილი კოლონიებში, პოსტრევოლუციურ გვინეა ბისაუსა და მოზამბიკში წერა-კითხვის პროგრამების განვითარებაში და ეხმარებოდა პერუსა და ნიკარაგუის მთავრობებს თავიანთი წერა-კითხვის კამპანიების წარმართვაში.

ფრეიერი ბრაზილიაში, საბოლოოდ, 1980 წელს დაბრუნდა, სან-პაულუსში საპონტიფიკო კათოლიკურ უნივერსიტეტსა და კამპინას უნივერსიტეტში მასწავლებლად სამუშაოდ. 1980-1986 წლებში იგი ზედამხედველობდა მუშათა პარტიის წერა-კითხვის გამავრცელებელ პროექტს სან-პაულუსში. მცირე ხნით, 1989-1992 წლებში, ფრეიერი სან-პაულუს განათლების მინისტრადაც მუშაობდა და მიჰყვებოდა წიგნიერების რეფორმის თავის რადიკალურ დღის წესრიგს ქალაქის მაცხოვრებელთათვის წერა-კითხვის შესასწავლად.

წერა-კითხვის საყოველთაო კამპანიები

მთელი დევნილობის განმავლობაში ფრეიერი წერდა ნაშრომებს, რომლებიც მალე კლასიკად იქცა: ჩაგრულთა პედაგოგიკა, კულტურული მოქმედება თავისუფლებისათვის და პედაგოგიკა პროცესში: წერილები გვინეა-ბისაუს. ფრეიერის ნაშრომები მოგვიანებით აითვისეს განმანათლებლებმა, ფილოსოფოსებმა და პოლიტიკურმა აქტივისტებმა ჩრდილოეთ ამერიკასა და ევროპაში, თუმცა აღნიშნული ნაშრომები არსებითად მორგებული იყო გლობალურ

სამხრეთზე: ე.წ. ბაზისურ საეკლესიო თემებზე, ქალაქების გარეუბნებზე (ე.წ. „ბარიოები“ ლათ. ამერიკის ქვეყნებში), გეტოებსა და ფაველებზე, სადაც მან დიდი გავლენა მოახდინა - და რომელთა გავლენის ქვეშაც თავადაც მოექცა - უამრავ სოციალურ მოძრაობაზე, სამხრეთ აფრიკაში ანტი-აპარტეიდული მოძრაობიდან მოყოლებული, ბრაზილიაში უმინაწყლო მშრომელთა მოძრაობით დამთავრებული.

ფრეიერი ყოველთვის მოუწოდებდა განმანათლებლებს, რომ მისი ნაშრომები გადაემუშავებინათ და განეახლებინათ, ნაცვლად ერთი ქვეყნიდან მეორე ქვეყანაში პირდაპირი „გადანერგვისა“, ვინაიდან თვლიდა, რომ მისი სწავლება უშუალოდ ბრაზილიური კონტექსტიდან იყო ამოზრდილი. ამ დასკვნამდე ფრეიერი ადრევე მივიდა, მას შემდეგ, რაც თავისი თანამოაზრე განმანათლებელთა სხვადასხვა ქვეყანაში დაგროვებული გამოცდილებების ბრაზილიაზე მორგება მოუხდა.

1965 წელს, თეირანში გამართულ წერა-კითხვის არცოდნის წინააღმდეგ გამართულ მსოფლიო კონფერენციაზე ფრეიერი კუბის წერა-კითხვის გამავრცელებელი კამპანიის არქიტექტორს რაულ ფერერს შეხვდა. ფრეიერი და ფერერი ერთმანეთს 1979 წელსაც შეხვდნენ, რათა ნიკარაგუაში სანდინისტას რევოლუციაში წიგნიერების როლი განეხილათ.

კუბის წერა-კითხვის გავრცელების კამპანიას, რომლის შედეგადაც ერთ წელზე ნაკლებ დროში 900 000-ზე მეტმა ადამიანმა ისწავლა წერა-კითხვა, ფრეიერი XX საუკუნის ერთ-ერთ უდიდეს საგანმანათ-

ლებლო მიღწევად თვლიდა. იგივე შეხედულება ჰქონდა მას სანდინისტას წიგნიერების კამპანიაზე ნიკარაგუაში.

ფრეიერი არ მალავდა თავის დამკვიდრებულებას და კუბის დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის ლიდერს ჟოზე მარტის XX საუკუნის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან რევოლუციონერ მოაზროვნედ მიიჩნევდა და ფიდელ კასტროსა და ერნესტო ჩე გევერას ერთგულ თაყვანისმცემლად რჩებოდა. პრეზიდენტი უგო ჩავესი კი პირიქით, ფრეიერის დიდი თაყვანისმცემელი იყო და პირადად ჩემთან გამოთქვა სურვილი, ფრეიერის ნაშრომების ბოლივიის რევოლუციაში გამოყენებაზე - რაშიც ჩემი მორიდებული და მცირე წვლილი მეც შევიტანე.

რომ არა მოულოდნელი გარდაცვალება, ფრეიერი ერთი კვირის თავზე კუბაში უნდა დასწრებოდა ცერემონიალს, სადაც ფიდელ კასტროს მისთვის მნიშვნელოვანი ჯილდო უნდა გადაეცა განათლებაში შეტანილი წვლილისათვის. მისი მეგობრების თქმით, ფრეიერის ცხოვრებაში ეს ყველაზე მნიშვნელოვანი ჯილდო იქნებოდა.

ურყევი მარქსისტი

ფრეიერისთვის კაპიტალიზმთან დაპირისპირება გადაუდებელ, საჩქარო აუცილებლობას წარმოადგენდა. ხშირად, იგი დეტალურად არ აღწერდა თუ როგორ წარმოედგინა თავად სოციალისტური ალტერნატივა, თუმცა ფრეიერის ერთგულება მატერიალისტური ეპისტემოლოგიისადმი მტკიცე იყო. იგი ცხოვრების ბოლომდე

ინარჩუნებდა მოდერნისტულ რწმენას ადამიანის აგენტობასა და ენის ცალსახად სოციალური ხასიათისადმი.

ფრეიერი გააზრებულად მარქსისტი იყო, მაგრამ მის ენას არასდროს დაუძძიმებია პოლიტიკური ლანდშაფტი მარქსისტულ-ლენინისტური ჟარგონებით. მაგალითად, იგი სულაც არ ქადაგებდა, რომ ყოველგვარი ღირებული წარმოების სფეროდან მოდის და სულაც არ სწამდა, რომ სკოლების მთავარი როლი კაპიტალის აგენტებისა და მათი ბატონების მსახურება იყო.

თუმცა, იგი მიიჩნევდა, რომ კაპიტალისტური განათლების სისტემა გაბატონებული და მჩაგვრელი სოციალური წყობის შესაბამისი სოციალური ურთიერთობების კვლავწარმოებას ახდენდა და ტიპური მიდგომა, რომ განათლების მეშვეობით „ინდივიდის განვითარება“ პანაცეაა, სინამდვილეში, ხშირად, იდეოლოგიურ საბურველს წარმოადგენდა, რომელიც ადამიანურ სოლიდარობას ინდივიდუალური ბეჭითად გარჯის, დაჯილდოებისა და პროგრესის მცდარი ნარატივებისკენ მიმართავდა.

ფრეიერი მნიშვნელოვანი ფილოსოფოსი გახლდათ, მაგრამ ნაცვლად განყენებული განსჯისა, იგი ფილოსოფიას თავისი ემანსიპატორული პედაგოგიკის განვითარების სასარგებლოდ იყენებდა. ავტორიტარული განათლების სისტემისაგან გათავისუფლების ფრეიერისეული ხედვა ჰეგელის ბატონისა და მონის დიალექტიკიდან იყო ამოზრდილი; ჩაგრულთა თვით-ტრანსფორმაციის მისეული აღწერა მარტინ ბუბერისა და ჟან-პოლ სარტრის ეგზისტენციალიზმით იყო შთაგონებული; ხოლო სოციალური

ურთიერთობების ისტორიულობის მისეული გაგება კი კარლ მარქსის ისტორიული მატერიალიზმის გავლენას განიცდიდა.

ფრეიერის აქცენტი სიყვარულზე როგორც ჭეშმარიტი განათლების მიღების აუცილებელ წინაპირობაზე, ქრისტიანული განთავისუფლების თეოლოგიასთან მის მტკიცე კავშირებზე მეტყველებდა. დომ ჰელდერ კამარა, ბრაზილიური რომაულ კათოლიკური ეკლესიის არქიეპისკოპოსი ოლინდასა და რესიფიში - რომელსაც ფუნამენუტირ გავლენა ჰქონდა ფრეიერზე - განთავისუფლების თეოლოგიის არსს მოკლედ რამდენიმე წინადადებით გადმოსცემდა: „როდესაც ღარიბებს საკვებს ვურიგებ, წმინდანს მეძახიან, ხოლო როდესაც კითხვას ვსვამ, თუ რატომ არ აქვთ ღარიბებს საჭემლი - კომუნისტს.“

ფრეიერი, რომელიც თავადაც კათოლიკე გახლდათ, „რელიგიურობით“ დიდად დაინტერესებული არ ყოფილა. იგი უფრო მეტად ეკლესიის განმათავისუფლებელი პოტენციალით იყო დაინტერესებული - რეგიონში, სადაც განათლების სისტემის უდიდესი ნაწილი რელიგიური ინსტიტუტების კონტროლის ფარგლებში რჩებოდა. ნაცვლად „წინასწარმეტყველური ეკლესიისა“, როგორც იგი უწოდებდა, ფრეიერი ოცნებობდა ეკლესიაზე, რომელიც კაპიტალისტური საზოგადოების მსხვერპლებისადმი სოლიდარული იქნებოდა. სწორედ ამგვარი ხედვის გამო გუსტავო გუტიარესმა, რომელმაც განთავისუფლების თეოლოგიის ძირითადი პრინციპის „შესაძლებლობა ღარიბთათვის“ კოდიფიცირება მოახდინა, რადი-

კალური ქრისტიანული დოქტრინის შექმნის პროცესში ფრე-იერი მიიწვია რამდენიმე მნიშვნელოვანი ასპექტის გასავითარებლად.

ჩაგრულთა პედაგოგიკა

მიუხედავად მთელი თავისი კავშირებისა გათავისუფლების თეოლოგიასთან, ფრეიერის საქმიანობას ყველაზე კარგად ტერმინი „პრაქტიკოსი ფილოსოფოსი“ აღწერს. მარტივად რომ ვთქვათ, ფრეიერის ფილოსოფია ჩამოყალიბდა, რათა ადამიანები აქტიურად ქცეულიყვნენ კიდევ უფრო სრულყოფილ ადამიანებად - ხოლო პოლიტიკური და ეთიკური თვალსაზრისით აღნიშნული პროექტი გულისხმობდა სამყაროს გააზრებასა და გარდაქმნას. აღნიშნულ მიდგომას ყველაზე უკეთ ფრეიერის პოპულარული გამონათქვამი „სიტყვებისა და სამყაროს წაკითხვა“ გამოხატავს.

ფრეიერი შეუდარებელი იყო, როდესაც საქმე ზეპირსიტყვიერი და წერილობითი სიტყვების ძალაუფლების აკვიატებას შეეხებოდა - რომლის მეშვეობითაც აღნიშნული ძალაუფლება გვიჩვენებს სამყაროს, რომელშიც ვცხოვრობთ და რომელშიც შესაძლოა გვეცხოვრა. ფრეიერისათვის წიგნიერების სფერო ადამიანებს შესაძლებლობას აძლევს, რომ დაქვემდებარებულ რეჟიმში იცხოვრონ - ჩადგნენ „თითქოსდა“ მდგომარეობაში, რომელიც გზას გვიხსნის ახალი სამყაროებისკენ.

ფრეიერის შემოღებული კიდევ ერთი კატეგორია „მოუსინჯავი შესაძლებლობა“ წარმოადგენდა იმედის ფილოსოფიის განვითარებულ ვერსიას, რომელიც მხარს უჭერდა არაპრივილეგირებულ

მდგომარეობაში მყოფ ჯგუფებს, რომ თავიანთი „შეზღუდული მდგომარეობისთვის“ გადაებიჯებიანათ - ანუ გადაელახათ ეკონომიკური განვითარების დაბალი დონის გამო მათ ადამიანურობაზე დაწესებული შეზღუდვები - და აღნიშნული არახელსაყრელი პირობები გარდაექმნათ შემოქმედებითი ექსპერტიმენტების სივრცედ. სწორედ ამიტომ იყო წერა-კითხვის გავრცელება მნიშვნელოვანი ფრეიერისთვის: იგი წარმოადგენდა პრაქტიკას, რომელიც შესაძლოა გამოყენებული ყოფილიყო როგორც ადამიანების არაპრივილეგირებულ მდგომარეობაში ჩაყენებისა და ექსკლუზიისათვის, ასევე მათი გათავისუფლებისათვის.

ფრეიერის პედაგოგიკის მხარდაჭერა ნიშნავდა სამყაროსა და მისი გარდაქმნის კომპლექსური, თუმცა მყარად მატერიალისტური ხედვის გაზიარებას. ფრეიერის თანახმად, ნებისმიერი ქმედება, რომელიც ხორციელდება სამყაროში აუცილებლად იწვევს ჩვენთვის ნაცნობი სამყაროს გარდაქმნას. მეტიც, სამყაროს გარდაქმნა გავლენას ახდენს იმაზე თუ როგორ იმოქმედებენ ინდივიდები მოგვიანებით მასზე. სწორედ აღნიშნულ პროცესში შესვლით სწავლობენ ინდივიდები თუ როგორ იქცნენ სუბიექტებად, რომლებიც მოქმედებენ დინამიკურ, ღია სამყაროზე, ნაცვლად პასიურ ობიექტებად დარჩენისა, რომლებიც ჩაკეტილ, სტატიკურ სისტემაში არსებობენ. სწორედ ასე შეძლებენ, ფრეიერის ხედვის მიხედვით, ჩაგრულები დაქვემდებარებულობის გადალახვას.

ფრეიერისეულ ლექსიკონში „დიალოგი“ და „დიალექტიკა“ წამყვანი სიტყვებია. დიალოგური „გადაკვეთები“, როგორც ფრეიერი

უწოდებდა მას, რეალურად იდეოლოგიური ინდოქტრინაციის საპირისპირო ცნებას წარმოადგენს (ირონიულია როდესაც ბრაზილიელი და ამერიკელი კრიტიკოსები წუხან კრიტიკული რასის თეორიასა და ფრეიერისეულ „ინდოქტრინაციაზე“). ფრეიერი წინააღმდეგი იყო, როგორც თავად უწოდებდა, ე.წ. „საბანკო განათლებისა“ - უბადრუკი სტუდენტების ცარიელ ტვინებში წინასწარ გამზადებული ცოდნის ჩადებისა - ვინაიდან, ეს მიდგომა ერთდროულად სოციალურად მჩაგვრელიც იყო და ამავდროულად სამყაროს იმდენად სტატიკურად წარმოდგენდა, რომ ერთი და იგივე გაკვეთილის გულისრევამდე გამეორება იყო შესაძლებელი. როგორც ჩაგრულთა პედაგოგიკაში ფრეიერი წერს:

ვინაიდან დიალოგი წარმოადგენს შემთხვევას, რომლის დროსაც დიალოგის მონაწილეთა რეფლექსია და ქმედება ერთიანობაში მიემართება სამყაროს, რომლის ტრანსფორმირება და ჰუმანიზაცია უნდა მოხდეს, მისი დაყვანა ვერ მოხდება ერთი ადამიანის მიერ მეორე ადამიანში იდეების „ჩადებად“ და ვერც იდეათა უბრალო გაცვლამდე, რომლის დროსაც დისკუსიის მონაწილეები აღნიშნულ იდეებს „მოიხმარენ“ რადგან დიალოგი წარმოადგენს შეხვედრას (ადამიანთა) შორის, რომლებიც სამყაროს სახელდებას ახდენენ, ეს არ უნდა იყოს სიტუაცია, სადაც ერთი (ადამიანი) სახელდებას სხვების ნაცვლად ახდენს.

ფრეიერი მოგვინოდებს, რომ როგორც სუბიექტები, წინასწარ გამზადებული ცოდნისა და მისი თანმდევი გაბატონებული ურთიერთობების ტყვეობიდან მატერიალური პირობების შეცვლის გზით გავიქცეთ, რომლებიც გვაყალიბებს. ჩაგრულთა გვერდით დგომა ფრეიერისათვის იყო არა მხოლოდ ეთიკური იმპერატივი - როგორც, მაგალითად, გათავისუფლების თეოლოგიისათვის - არამედ ასევე ეპისტემოლოგიური: მას მტკიცედ სწამდა, რომ ჩაგრულთა გვერდით დგომა იყო ერთადერთი გზა გასათავისუფლებლად შეხედულებისაგან, რომ არსებობს წმინდა იდეათა ისეთი სივრცე, რომელთა მოხელთება და გატარება მხოლოდ და მხოლოდ ამა თუ იმ ხელისუფლის საქმეა. ჭეშმარიტებას, ფრეიერისათვის, ყოველთვის დიალოგის ფორმა აქვს, იგი ყოველდღიური ცხოვრების დიალექტიკურ წინააღმდეგობებთან ერთად შერკინებული მე-ს და სხვას გულისხმობს.

ფრეიერი დღეს

ფრეიერი ყოველთვის წინააღმდეგი იყო, რომ იგი განათლების სფეროში არსებულ სხვადასხვა მოძრაობასა და მიმართულებასთან დაეკავშირებინათ, რასაც ზოგიერთი ამტკიცებდა, მაგალითად, იქნებოდა ეს სახალხო განათლების, ზრდასრულთა განათლების, საგანმანათლებლო ცვლილების, არაფორმალური განათლების, პროგრესული განათლების თუ მარქსისტული პედაგოგიკის მიმართულება. მაშინ, როცა აღნიშნული მიმართულებებიდან ზოგიერთი მართლაც განათლების პოლიტიკის ცალკეულ მესვეურთა ხელში

აღმოჩნდებოდა ხოლმე, ფრეიერის პროექტს კვლავაც ჩაგრულთა პედაგოგიკა წარმოადგენდა.

ჩვენი სამყარო სწორედ ისეთად იქცა, რომლის შესახებაც ფრეიერი არაერთგზის გვაფრთხილებდა: სადაც პრობლემის წამოჭრის გზით ცოდნის მიღება დაუსრულებელ კულტურულ ომებში თავის გაყოფას ნიშნავს; სადაც მასწავლებლებს აკრიტიკებენ თავიანთი არგუმენტირებული მსჯელობის გამო; სადაც ადამიანებს სჯიან იმის გამო, რომ ისინი აკრიტიკებენ აშშ-ის კოლონიურ ჩარევასა და მონობის სასტიკ ისტორიას, რომელიც მისი განუყოფელი ნაწილია. გაბედული აზროვნება, რომლისკენაც ფრეიერი მოგვიწოდებდა, დღევანდელ პოლიტიკოსთა და საჯარო ფიგურათა სილაჩრეს კიდევ უფრო აუტანელს ხდის.

ის, რაც დღეს სასკოლო განათლების სისტემაში გვჭირდება, არის პედაგოგიკა, რომელიც სტუდენტებს მისცემს შესაძლებლობას, რომ თავიანთი ცხოვრებისეული გამოცდილება უფრო ფართო სოციო-პოლიტიკურ კონტექსტში გაიაზრონ. სწორედ ამ სცენარის განხორციელების შიშია, ნაწილობრივ მაინც, კულტურული ომების მიზეზი: მოგვწონს ეს თუ არა, სტუდენტების ნახალისება, რომ გაითვალისწინონ ფემინიზმის, კრიტიკული რასის თეორიის, დეკოლონიური თეორიის და სხვა ანალიტიკური ენების სიკეთეები, ასევე ნიშნავს რეფლექსიას ისტორიულ გამოცდილებებზე, რომლებმაც, უპირველეს ყოვლისა, აღნიშნული პერსპექტივების არსებობა გახადა შესაძლებელი.

არსებითად, ბრაზილიაშიც და აშშ-შიც, მემარჯვენეები იმიტომ ცდილობენ ინდოქტრინაციის შიშებთან დაკავშირებული კონსპირაციების წახალისებას, რომ ისინი თავადაც შეშინებულები არიან. ჩვენი სკოლების დარვინისეული ბრძოლის ველად წარმოჩენით, სადაც ურთიერთდაპირისპირებული მსოფლმხედველობები იბრძვიან, ისინი ცდილობენ, რომ თავიანთათვის სასიკეთოდ დაგვაგვიწყონ ის, რის გააზრებაშიც ფრეიერი დაგვეხმარა: განათლება ეს უბრალოდ სტატიკური მსოფლმხედველობების საკითხი კი არ არის, არამედ, პოტენციურად, მთელი სამყაროს შეცვლის. ანდა როგორც თავად ფრეიერმა თქვა: „წიგნის წაკითხვას წინ სამყაროს წაკითხვა უძღვის“.

საით მიღის მეცნიერება?

ინტერვიუ პროფესორ ჯორჯო აგამბენთან

ავტორი: ანდრე პენზოტი

თარგმნა ანა ლომიძემ.

კოვიდ-19-ის პანდემიის პირველი თვეების განმავლობაში ფილოსოფოსმა ჯორჯო აგამბენმა გამოაქვეყნა მოსაზრებათა სერია, რომელიც შემდეგ შევიდა წიგნში სათაურით „სად ვართ ახლა: პანდემია როგორც პოლიტიკა“ (აგამბენი 2020). მისი მოსაზრებების ძირითადი თემა იყო მეცნიერებასა და საზოგადოებას, კერძოდ კი, მედიცინასა და პოლიტიკას შორის არსებული დამოკიდებულება. აგამბენმა ცხადყო ცნება „ბიოუსაფრთხოების“ წარმოშობასთან დაკავშირებული რისკები, ანუ ყველა ის სოციალური აქტივობა, რომლებიც „ბიოლოგიური სიცოცხლის“ შენარჩუნების გამო შეჩერდა. რამდენად შორს შეიძლება წავიდეს საზოგადოება ბიოლოგიური სიცოცხლის დასაცავად? რა ზომამდე შეიძლება

გავრცელდეს პოლიტიკა ორივეს – საზოგადოებისა და მოქალაქეთა ბიოლოგიური სიცოცხლის კონტროლისას?

აგამბენის წიგნმა გამოიწვია სხვადასხვაგვარი და, ძირითადად, ნეგატიური რეაქციები. თუმცა უდავოა, რომ ის მიუთითებს იმ გარდაუვალ კითხვებზე, რომელთა წინაც ვდგავართ დღესდღეობით. ჩვენ გაგვაოცა იმ ფაქტმა, რომ მის წინამდევ გამოთქმული არგუმენტების უმეტესობა შერყვნილი იყო (არნახსენები) იდეოლოგიური ცრურწმენებით.

ამ კითხვებში ჩასაღრმავებლად, გთავაზობთ ექსკლუზიურ ინტერვიუს ჯორჯო აგამბენტან.

შიშველი სიცოცხლე

პერსონალიზაციისა და პროგნოზირების ცნებები საფუძველს მედიცინისგან იღებს. დიაგნოსტიკური საშუალებებისა და დიდი მონაცემების წყალობით, მედიცინა ამტკიცებს, რომ შეუძლია კონკრეტულ დაავადებათა ინდივიდუალური რისკების პროგნოზირება. როგორც კი ეს რისკები გამოვლინდება, ადამიანებს შეიძლება მოარგონ შესაფერისი ცხოვრების სტილი. ამ გენეტიკური პროგნოზის შემცველი მასიური კვლევების გარდა, ეგრეთ წოდებული, „სატარებელი“ (“wearable”) ტექნოლოგიები კონკრეტული სასიცოცხლო მონაცემების მუდმივი მონიტორინგის საშუალებას იძლევა. დღესდღეობით ისინი, უმეტესწილად, მნიშვნელოვანია სპორტსმენებისათვის, რომლებსაც სურთ მუდამ აუმჯო-

ბესებდნენ საკუთარ საქმიანობას. თუმცა მალე მსგავსმა ხელსაწყობმა შეიძლება მოიცვას ყველა მოქალაქე. აშკარაა, რომ მედიცინისადმი მსგავს მიდგომას მივყავართ იმისაკენ, რაც თქვენ განმარტეთ როგორც სიცოცხლის დაყვანა მხოლოდ ბიოლოგიაზე - „შიშველ სიცოცხლეზე“. თუმცა ბევრი მეცნიერი კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს ასეთი სცენარის ეთიკურ და ტექნიკურ განხორციელებადობას. გაგვიზიარებთ ამ საკითხზე თქვენს მოსაზრებას? ასევე, თქვენი აზრით, რა უნდა გაკეთდეს, რათა შეიცვალოს ამ ტენდენციის მიმართულება?

- პერსპექტივაში, რომელსაც ხაზი გაუსვით, გადამწყვეტია იმ ზღურბლის გადაკვეთა, რომლის მიღმაც პერსონალიზაცია, პროგნოზირება და მასიური კვლევები არის არა უბრალოდ რჩევა ცხოვრების წესის შესახებ, არამედ ისინი ხდება სამართლებრივი ვალდებულებები. ეს ზღურბლი გადაკვეთილია. რაც ჯანმრთელობის უფლებად მიიჩნეოდა ხოლმე, იქცა ნებისმიერ ფასად შესასრულებელ ვალდებულებად. კარდიოვასკულარული დაავადებები წარმოადგენს სიკვდილიანობის ყველაზე ხშირ მიზეზს ჩვენს ქვეყანაში. ვიცით, რომ მათმა რიცხვმა შეიძლება დაიკლოს, თუ მივყვებით ცხოვრების უფრო ჯანსაღ წესს და დავიცავთ გარკვეულ დიეტას. თუმცა არც ერთ ექიმს უფიქრია, რომ ცხოვრების წესსა და დიეტასთან დაკავშირებული რჩევები პაციენტებისათვის გარდაქმნილიყო სამართლებრივ რეგულაციებად, რომლებიც კანონით დაადგენდა, როგორ ვიცხოვროთ და რა ვჭამოთ, გადააქცევდა რა

მთელ არსებობას ჯანმრთელობის ვალდებულებად. მეტიც, იტალიელი ექიმების პროფესიული ფიცი ამას კრძალავს მითითებით: „დაიცავი პიროვნების ავტონომიასთან დაკავშირებული მოქალაქეობრივი უფლებები“ (იხ. ასევე ჟენევის მსოფლიო სამედიცინო ასოციაციის დეკლარაცია: „დავიცავ ჩემი პაციენტის პიროვნულ ავტონომიასა და ღირსებას“ და „არ გამოვიყენებ ჩემს სამედიცინო ცოდნას ადამიანის უფლებებისა და მოქალაქეობრივი თავისუფლების შესაღებად, მუქარის შემთხვევაშიც კი“ – ა. პ.). ეს მოხდა კოვიდ-19-ის დროს. ყოველ შემთხვევაში, ამჟამად ადამიანებმა არა მარტო უარი თქვეს თავიანთ კონსტიტუციურ თავისუფლებაზე, სოციალურ ურთიერთობებსა და პოლიტიკურ თუ რელიგიურ რწმენებზე, არამედ მათ დაუშვეს მათთვის საყვარელი ადამიანები მომკვდარიყვნენ მართლობაში, დასაფლავების გარეშე. ამ აზრით, შეიძლება ითქვას, რომ ადამიანის არსებობა დაყვანილ იქნა ბიოლოგიურ ფაქტზე, შიშველ სიცოცხლეზე, რომელიც ნებისმიერ ფასად უნდა შენარჩუნდეს. ეს ასე მოხდა იმის მიუხედავად, რომ IFR-ის, ანუ დაავადების მიერ გამოწვეული რეალური სიკვდილიანობის ნიშნული 1 %-ზე ნაკლებია, თქვენი ჟურნალის კვლევების მიხედვით. სიცოცხლის მედიცინიზაციის ბრდის პროცესი უკვე გამოვლინდა. თითოეული ინდივიდის ცხოვრებისეული გამოცდილების მთლიანობა, რომელშიც ორივე – სხეულებრივიცა და სულიერიც – ყოველთვის დაუნანვრებლად გვხვდება, გაიყო, ერთი მხრივ, წმინდად ბიოლოგიურ არსებად და, მეორე მხრივ, სოციალურ, კულტურულ და ემოციურ არსებობად. ასეთი წყვეტა ყველა

შემთხვევაში, აბსტრაქტულობაზე მიანიშნებს. ეს აბსტრაქტულობა კი იმდენად ძლიერია, რომ ადამიანები მას მსხვერპლად სწირავენ თავიანთი ცხოვრების ჩვეულ მდგომარეობას. ვთქვი, რომ სიცოცხლის დანაწევრება აბსტრაქტულობაზე მიანიშნებს. თუმცაღა, როგორც იცით, თანამედროვე მედიცინამ ეს აბსტრაქტულობა გაიაზრა დაახლოებით მეოცე საუკუნის შუა პერიოდში. მან ეს გააკეთა ინტენსიური თერაპიის მონყობილობებით, რომელთაც შეუძლია ადამიანის სხეულის შენარჩუნება წმინდად ვეგეტატიურ მდგომარეობაში. ინტენსიური თერაპიის მონყობილობას, თავისი მექანიკური რესპირატორებით, კარდიოპულმონარული ბაიპასით და ტემპერატურის შემნარჩუნებელი აღჭურვილობით, ნამდვილად შეუძლია სხეული სიცოცხლესა და სიკვდილს შორის გაახევოს. ეს ბნელი სივრცეა, რომელიც არ უნდა გავიდეს სამედიცინო საზღვრებს მიღმა. ამის სანაცვლოდ, პანდემიის შემთხვევაში, წმინდად ვეგეტატიური სიცოცხლე, სიცოცხლესა და სიკვდილს შორის გახევებული ეს სხეული, იქცა ახალ პოლიტიკურ პარადიგმად, რომლის მიხედვითაც მოქალაქეებმა უნდა დაარეგულირონ საკუთარი ქცევები. ამ გამოცდილებაში ყველაზე გამოცებულია ის ფაქტი, რომ შიშველი სიცოცხლე, ნებისმიერ ფასად, გააბსტრაქტულების გზით, დაცილებულია ინტელექტუალური და სულიერი სიცოცხლისაგან. ამგვარად, ის დადგენილია არა როგორც სიცოცხლის კრიტერიუმი, არამედ როგორც უბრალოდ არსებობისათვის ბრძოლა.

ჭეშმარიტება და გაყალბება

2016 წელს კვლევის შედეგების გამოქვეყნებით Nature-მა ცხადყო, რომ 1 500-ზე მეტმა მეცნიერმა ვერ მოახერხა ხელახლა ენარმობინათ მათი კოლეგების მიერ წარმოებული მონაცემები. დოქტორი გლენ ბეგლიც, მულტინაციონალური ორგანიზაციის, Amgen-ის ონკოლოგი დირექტორი, მსგავს პრობლემას წააწყდა 2011 წელს. მან, ახალი მედიკამენტის საკვლევ პროექტში რამდენიმე მილიონი ევროს ჩადებამდე, გადაწყვიტა ხელახლა ჩატარებინა 53 ექსპერიმენტი, რომლებსაც ეყრდნობოდა მათი განვითარების სტრატეგია. მან მხოლოდ მათი 11 %-ის ხელახლა ჩატარება მოახერხა.

როცა საქმე ეხება წარმოებული მონაცემების სანდოობასა და მტკიცებების ჭეშმარიტებას, პარადოქსულად, მეცნიერება აწყდება საიმედოობის უპრეცედენტო, ღრმა კრიზისს. ამის მიუხედავად, თითქმის შეუძლებელია იმ ჰიპოთეზებისა და შედეგების გაჟღერება, რომლებიც განსხვავდებიან საზოგადოდ აღიარებული „მეცნიერული ჭეშმარიტებებისგან“ ორივე, საზოგადოებრივი და აკადემიური მოსაზრების, დონეზე. მეტიც, ხშირად პოლიტიკური და ეკონომიკური გადაწყვეტილებები ამ ჭეშმარიტებათა საფუძველზე მიიღება. ცოტა ხნის წინ გამოაქვეყნეთ პოსტი: „ჭეშმარიტებასა და სიყალბეზე“. ეგებ დაგვეხმაროთ, უფრო უკეთ ჩავწვდეთ ამ საკითხს?

- აქ ჩვენ უშუალოდ ვხედავთ, რომ ჭეშმარიტების პრობლემა არ არის აბსტრაქტული ფილოსოფიური პრობლემა. არამედ ის არის

რალაც უკიდურესად კონკრეტული, რომელიც მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ადამიანის ცხოვრებას. იმდენად, რამდენადაც საქმე მეცნიერულ ჭეშმარიტებას ეხება, თომას კუნის ცნობილმა წიგნმა უკვე აჩვენა, რომ მეცნიერული საზოგადოების დომინანტური პარადიგმა აუცილებლად ყველაზე ჭეშმარიტი კი არ არის, არამედ უბრალოდ მას შეუძლია მიიზიდოს მიმდევართა ყველაზე დიდი ნაწილი. დღეს ეს ასეა მეცნიერული ჭეშმარიტების მიღმაც. კაცობრიობა გადადის თავისი ისტორიის იმ ეტაპზე, რომელზეც ჭეშმარიტება დაიყვანება სიყალბეთა მიმოსვლის წამზე. სხვაგვარად თუ ვიტყვით, ეს წამი არის ენის ყოვლისმომცველი გამოშლა, რომელიც უკვე აღარ შეიცავს არანაირ კრიტერიუმს იმის განსახვავებლად, რა არის ჭეშმარიტი და რა არის ყალბი. ჭეშმარიტია ის ნათქვამი, რომელიც აღიარებულია ასეთად და რომელიც უნდა დარჩეს ჭეშმარიტებად, მაშინაც კი, თუ მისი არაჭეშმარიტება დამტკიცებულია. საბოლოოდ, ეს მნიშვნელოვანია იმ სისტემისათვის, რომელიც ჭეშმარიტსა და ყალბს შორის ყოველგვარ განსხვავებას შლის. ამგვარად, დაბნეულობას იწვევს თუნდაც ოფიციალური უწყებების მიერ გავრცელებული ურთიერთსაპირისპირო ახალი ამბები. ეს ნიშნავს, რომ კითხვის ნიშნის ქვეშ დგას თავად ენა, როგორც ადგილი, სადაც ჭეშმარიტება აცხადებს საკუთარ თავს.

რა ხდება ამჟამად საზოგადოებაში, რომელმაც უარყო ჭეშმარიტება და რომელშიც ადამიანებს მხოლოდ ის შეუძლიათ, რომ ჩუმად დააკვირდნენ სიყალბის მრავალფორმიან და წინააღმდეგობრივ

მიმოსვლას? იმისათვის, რათა შეჩერდეს ეს მიმოსვლა, ყველას უნდა ეყოს გამბედაობა, რომ კომპრომისის გარეშე დაუსვას საკუთარ თავს ერთადერთი კითხვა: რა არის ჭეშმარიტი სიტყვა? ყველას შეუძლია გაიხსენოს სახარებიდან პილატეს ცნობილი კითხვა იესოსადმი, რომელსაც ნიციშე „ყველა დროის ყველაზე ცბიერ ხუმრობად“ მიიჩნევდა: „რა არის ჭეშმარიტება?“ რეალურად, პილატემ ამ კითხვით უპასუხა იესოს უშუალოდ წინმსწრებ სიტყვებს: „იმიტომ მოვედი სოფელში, რომ ჭეშმარიტება დავამოწმო.“ მართლაც, არ არსებობს ჭეშმარიტების გამოცდილება დამოწმების გარეშე: ჭეშმარიტია ისეთი სიტყვა, სხვაგვარად რომ არ შეგვიძლია და საკუთარ თავს ვავალებთ ვიყოთ მისი პირადი დამმონმბებელი. აქ ცხადი ხდება განსხვავება მეცნიერულ და ფილოსოფიურ ჭეშმარიტებას შორის. სინამდვილეში, თუ მეცნიერული ჭეშმარიტება არის (ან, ყოველ შემთხვევაში, უნდა იყოს) იმ სუბიექტისაგან დამოუკიდებელი, რომელიც მას აცხადებს, ის ჭეშმარიტება, რომელზეც ახლა ვსაუბრობთ, ჭეშმარიტია მხოლოდ მაშინ, თუ სუბიექტი, რომელიც მას გამოთქვამს, ამ გამოთქმაში საკუთარ თავსაც რისკავს. მართლაც, საქმე გვაქვს დამოწმებულ ჭეშმარიტებასთან და არა – თეორემასთან. ვხვდებით რა კანონის მიერ დაწესებულ არა-ჭეშმარიტებას, ჩვენ შეგვიძლია და უნდა დავამოწმოთ ჭეშმარიტება.

ჰიპოთეზათა გაუჩინარება

ერთ-ერთ პოსტში აღნიშნეთ, რომ „ახალი ამბების“ ცნება ხშირად ანაცვლებს „იდეისას“. ამგვარად, ფრაზა „ყალბი ახალი ამბები“ შემოიღეს როგორც იდეებისა და ჰიპოთეზების დადუმების იარაღი. თქვენი აზრით, მიუხედავად განათლებულობისა, მაინც რატომ სჯერათ ადამიანებს ახალი ამბების, რომელთა სიყალბე უკვე კარგადაა დასაბუთებული? რა კომუნიკაციური სტრატეგია უნდა გამოიყენოს მეცნიერმა, თუ მას ოფიციალური ნარატივების სიყალბის გამოსააშკარავებელი საფუძვლიანი მტკიცებულებები აქვს?

- საზოგადოებაში, რომელსაც აღარ შეუძლია განასხვავოს ჭეშმარიტი ყალბისაგან, ახალი ამბები აუცილებლად ეცდება ჩანაცვლოს რეალობა. მედია მუშაობს ახალი ამბების მიერ რეალობის ამ ყოვლისმომცველ ჩანაცვლებაზე. დღევანდელი მედია ნამდვილად პოლიტიკის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია, რადგან ის არის იმ ჩანაცვლების გარანტი, რომელიც ასეთი მნიშვნელოვანია სისტემის ფუნქციონირებისათვის. სამყაროში, სადაც მხოლოდ ახალი ამბები არსებობს, მხოლოდ გაბატონებული ახალი ამბებია ჭეშმარიტი და, უკიდურესი აზრით, არც ერთი ახალი ამბავია მეორეზე ჭეშმარიტი. ამგვარად საჭიროა შეიქმნას კომისიები, როგორც ეს გააკეთა ჩვენმა მთავრობამ, იმის გადასაწყვეტად, რომელი ახალი ამბავი უნდა ჩაითვალოს ჭეშმარიტად და რომელი – ყალბად. მეორე მსოფლიო ომის დროს გაკეთებულ ჩანაწერებში ჰაიდეგერმა პერიოდში,

რომელშიც ცხოვრობდა განსაზღვრა როგორც „არაარსებითის მექანიზაცია“, სადაც მნიშვნელობის აბსოლუტური არარსებობა ალგორითმულადაა ფორმულირებული და მკაცრადაა გამოთვლილი. ის რაც ჩვენს თვალწინ ხდება დღეს, მსგავს შთაბეჭდილებას ტოვებს.

გატეხილი ფიცის

ჰიპოკრატეს ფიცის თანამედროვე იტალიური ვერსიის პირველ პუნქტში ვკითხულობთ: „ვფიცავ სამედიცინო პრაქტიკას განვახორციელებ ავტონომიური განსჯითა და პასუხისმგებლური ქცევებით, შევინააღმდეგები ნებისმიერ შეუფერებელ ვითარებას, რომელიც შეზღუდავს პროფესიის თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას. “ რამდენად აქვთ ავტონომიურობა დღეს ექიმებს შენარჩუნებული? მკურნალის ფიგურა რაღაც ახლად გარდაიქმნა? როგორ ფიქრობთ, როგორი იქნება მომავალში ექიმი-პაციენტის ურთიერთობა, ნდობის საკითხი? როგორი აკავშირებთ ერთმანეთთან პირადად თქვენს ექიმსა და საკუთარი ჯანმრთელობისათვის ზრუნვას?

- რაც ახსენეთ, პროფესიული ფიცის იმ პუნქტებიდან ერთ-ერთია, რომლებიც დღეს სისტემურ ცვლილებებს განიცდის. მაღლა ნახსენები, პაციენტის მოქალაქეობრივ უფლებებსა და ავტონომიასთან დაკავშირებული, მე-4 და მე-5 პუნქტებს გარდა საფრთხეშია მე-15 პუნქტიც, რომელიც მოითხოვს „პროფესიული საიდუმლოს

პატივისცემას და კონფიდენციალობის დაცვას ყოველივე იმასთან დაკავშირებით, რაც გამანდეს, რასაც თვალს ვადევნებ ან ვადევნებდი, გავიგე ან მივხვდი ჩემი პროფესიის მეშვეობით, ან ჩემი მდგომარეობის თუ თანამდებობის წყალობით.“ თუ წარსულში კონფიდენციალურობის დაცვას ყოველთვის ადევნებდნენ თვალყურს, დღეს, ყველა, ვინც დადებითია (უბრალოდ მხოლოდ დადებითი, და არა დაავადებული), როგორც ასეთი, საჯაროდ მხილებული და იზოლირებულია. მაშასადამე, მე-6 პუნქტმაც კი, რომელიც მოითხოვს „ყველა პაციენტისადმი მზრუნველი და ვალდებულებითი, დისკრიმინაციის გარეშე მოპყრობის“ საჭიროებას, ცვლილება განიცადა. ჩვენ იმ წერტილამდე მივალწიეთ, სადაც ექიმი არ ნახულებს დადებით პაციენტებს.

ძნელია შეინარჩუნო ინდივიდუალური ნდობა ექიმთან ურთიერთობაში, რომელიც ყოველთვის მოქმედებს, როგორც მთავრობის სისტემის წარმომადგენელი. მედიცინა და თერაპია განცალკევებული უნდა დარჩეს ძალაუფლებისა და კანონმდებლობისაგან.

მედიცინა, როგორც რელიგია

რამდენიმე სტატიაში გამოთქვით მოსაზრება, რომ მედიცინა და მეცნიერება იქცა დღევანდელ რელიგიად. თუმცა ბევრი ექიმი და მეცნიერი ძნელად თუ მოიაზრებს საკუთარ თავს ამ რელიგიის წარმომადგენლად. ეგებ ჩვენ განსხვავებულ ცნებებზე მივუთითებთ, როცა ვიყენებთ ისეთ სახელს, როგორიცაა მედიცინა ან მეცნიერება?

დაგვეხმარებით განვასხვაოთ რა ტიპის მედიცინა და მეცნიერება იქცა რელიგიად?

- ანალოგია, რომელიც ვახსენე, არ არის უბრალოდ მეტაფორული. თუ რელიგიას ვუნოდებთ იმას, რისაც ხალხს სწამს, მაშინ მეცნიერება ნამდვილად დღევანდელი რელიგიაა. თუმცა ყოველ რელიგიაში უნდა განვასხვაოთ დოგმატური აპარატი (ჭეშმარიტებები, რომლებიც უნდა ირწმუნონ) და მისგან წარმოქმნილი კულტი, რომელიც გულისხმობს ქცევებსა და ჩვეულებებს. უბრალო მორწმუნე შეიძლება არ ფლობდეს ცოდნას დოგმებსა და ერესზე, რომელთა შესახებ თეოლოგები მგზნებარედ კამათობენ. ამის მსგავსად, დღევანდელ უბრალო ადამიანს შეუძლია სრულიად არ იცოდეს მეცნიერული თეორიები, რომელთა შესახებ მეცნიერები კამათობენ. თუმცა კულტი, ესე იგი, ჩვევები და ქცევები უფრო და უფრო მეტად განსაზღვრავს მას, და ეს ასეა მედიცინის შემთხვევაშიც. მეტიც, როგორც ქრისტიანულმა რელიგიამ წამოაყენა ხსნის იდეა კულტის მეშვეობით, მედიცინამაც ასევე ამოიღო მიზანში ჯანმრთელობა თერაპიის მეშვეობით. პირველი ეხება ცოდვას და მეორე - ავადმყოფობას, მაგრამ ანალოგია ცხადია. ჯანმრთელობა, ამ აზრით, სხვა არაფერია თუ არა იმ „მარადიული სიცოცხლის“ სეკულარიზაცია, რომელსაც ქრისტიანები იმედოვნებდნენ, რომ მოიპოვებდნენ თავიანთი კულტურული ჩვევების მეშვეობით. სიცოცხლის მედიკალიზაცია ყოველგვარ ზომას სცდებოდა ჯერ კიდევ გასულ ათწლეულებში, მაგრამ ის ჩვენს

დღევანდელ გამოცდილებაში პერმანენტული და ყოვლისმომცველი გახდა. საქმე უკვე არ ეხება მედიკამენტების მიღების, სამედიცინო გამოკვლევისა თუ ოპერაციის ჩატარების საჭიროებას: ადამიანის მთელი ცხოვრება უნდა გახდეს უწყვეტ საკულტო ადგილად დროის ნებისმიერ მონაკვეთში. მტერი, ვირუსი, უხილავია, ყოველთვის სახეზეა და ადამიანის არსებობის ყოველი წამი უნდა გულისხმობდეს მასთან დაუზავებელ ბრძოლას.

ტრანსჰუმანიზმი

კიდევ უფრო იმატებს ხელოვნური ინტელექტის ინდუსტრიის მიერ მეცნიერების დაფინანსება. ამან უამრავ მეცნიერს უბიძგა, ადამიანისა და მანქანის შერწყმისაკენ, რაც, ერთი მხრივ, წარმოშობს ახალ ბაზარს. მეორე მხრივ, ეს არის ახალი დაპირება შესაძლო ადამიანური უნარებისა და ხანგრძლივი სიცოცხლის შესახებ. რას ფიქრობთ სიცოცხლის ამ პროგრესულ დიგიტალიზაციასა და რობოტიზაციაზე?

- ვფიქრობ საჭიროა თქვენ მიერ ნახსენები ფენომენის განხილვა ადამიანის სახეობის განვითარების პერსპექტივაში. პედომორფოზისა და ჰომო საპიენსის კონსტიტუციური ჩამოყალიბებლობის იდეებს უნდა ვუმაღლოდეთ ბრწყინვალე ჰოლანდიელ მეცნიერს, ლუდვიკ ბოლკს. თითქმის საუკუნე გავიდა მას შემდეგ, რაც მან განჭვრიტა, რომ ტექნიკური ხელსაწყოები, რომელთაც ადამიანები მზარდად ეყრდნობიან საკუთარი სახეობის გადასარჩენად,

მიაღწევდა უკიდურესად მწვავე ნიშნულს. ეს ხელსაწყოები გახდებოდა საკუთარივე დანიშნულების საწინააღმდეგოდ და საბოლოოდ გამოიწვევდა სახეობის გაქრობას. პოლ ალსბერგი მეოცე საუკუნის ოციან წლებში საუბრობდა სხეულის ორგანოთა ფუნქციების გარეგან ტექნიკურ დაპროექტებაზე. მან აჩვენა, რომ ამის შედეგი არის ორგანოთა თანდათანობითი იმ ხელოვნური ხელსაწყოების სასარგებლოდ, რომლებიც მათ ჩაანაცვლებს. თუ ცხოველი აგუებს თავის სხეულებრივ ფუნქციებს გარემო პირობებთან, ადამიანი მათი გათიშვას ახდენს, ანდობს რა მათ ხელოვნურ ხელსაწყოებს. ამგვარად, ყოველი გარესომატური ტექნოლოგიური პროგრესი გულისხმობს შიდასომატური ფუნქციების რეგრესიას. თუმცა თუ ეს რეგრესია გარკვეულ ზღვარს გასცდება, მაშინ თავად სახეობის გადარჩენის საკითხი დადგება.

მჯერა, რომ დღეს ზღურბლთან ვართ. თუმცა გამოცდილება აჩვენებს, რომ რაც გარდაუვალი ჩანს, ყოველთვის არ ხდება. ევრიპიდეს სიტყვებით: „მოსალოდნელი არ ხდება; მოულოდნელისათვის ღმერთები პოულობენ გზას.“

ენა

აღნიშნეთ, თავად ტერმინოლოგია ისეა შერჩეული, რომ ხელი შეუწყოს საზოგადოებრივ პარადიგმას. მაგალითად, ტერმინი „სოციალური დისტანცია“ სხვაგვარი შეიძლებოდა ყოფილიყო, მაგ. „პირადი“ ან „ფიზიკური“ დისტანცია. ფიქრობთ, რომ ენა რალაცნაირად უფრო აგრესიულია, თუ უკვე იმდენად ჩავიძირეთ

ახალი მმართველობის პარადიგმაში, რომ ასეთი ენა იქმნება სპონტანურად, თავად საზოგადოების დონეზე? ვგულისხმობ, როგორც გარკვეული სახის ბუნებრივი ევოლუცია? ბევრი მეცნიერი დიდხანს ებრძოდა შეცდომაში შემყვან და შეუფერებელ ტერმინებს და მაინც, უამრავი ძლიერი არგუმენტის მიუხედავად, არ შეგვიძლია გავლენა ვიქონიოთ უნივერსალურ ენაზე. რა მექანიზმების საფუძველზე ხდება კონკრეტული ტერმინი მისაღები და მყარი?

- ადამიანებსა და ენას შორის კავშირი, ასევე გამოცდილება, რომელიც მოსაუბრეს აქვს საკუთარ ენასთან, არ არის მარტივი. ალბათ ესაა პირველი პრობლემა, რომელსაც ამროვნება გაუმკლავდეს. ენა არის რაღაც, რის დამორჩილებასა და მანიპულაციას ცდილობენ ადამიანები, ეს არის რაღაც ისეთი, რაზეც ისინი ყოველთვის დომინირებდნენ და განსაზღვრავდნენ - რაღაც, რასაც აუცილებლად უნდა გავუმკლავდეთ.

აღნიშვნაც არ არის საჭირო, რომ თანამედროვე ტექნოლოგიისა და მეცნიერების მიერ განხორციელებული ცვლილებები შეუძლებელი იქნებოდა ენის გამოცდილების სიღრმისეული ცვლილების გარეშე. ძველ სამყაროს არ შეეძლო და არ უნდოდა თანამედროვე ამრით ჰქონოდა წვდომა მეცნიერებასა და ტექნოლოგიაზე. ამის მიზეზი ის არის, რომ, მიუხედავად მათემატიკის დაფუძნებისა (განსაკუთრებით არაალგებრული ფორმით), მის ენის გამოცდილებას არ შეეძლო განზრახ მიეთითებინა სამყაროზე იმის გაუთვალისწინებლად, თუ როგორ გამოამჟღავნა სამყარომ საკუთარი თავი ენის მეშვეობით.

ენა არ იყო ნეიტრალური, ფიგურებისა და ალგორითმების მეშვეობით ჩანაცვლებადი, იარაღი. არამედ ის იყო ადგილი, სადაც საგნები პირველად ამჟღავნებდნენ საკუთარ თავს და უკავშირდებოდნენ საკუთარ ჭეშმარიტებას. მხოლოდ ენის ნეიტრალურ ინსტრუმენტად დაყვანამ, რომელიც მოხდა ოკამთან და გვიან ნომინალიზმში, გახდა შესაძლებელი ცოდნის ენობრივისაგან დაცლა, რამაც კულმინაციას თანამედროვე მეცნიერებაში მიაღწია. ჭეშმარიტებამ სიტყვებისა და ენის სამყაროდან გადაინაცვლა რიცხვებსა და მათემატიკაში. ენა გახდა წმინდა კონვენციურ ნიშანთა სისტემა და გამოიყურებოდა, ყოველ შემთხვევაში ერთი შეხედვით, როგორც დამორჩილებადი და მანიპულირებადი. ამის შემდეგ ის აღარ ყოფილა შესაძლო ჭეშმარიტების ადგილი. ახლა სწორედ ენა, რომელიც აღარაა კავშირში ჭეშმარიტებასთან, შეიძლება იქცეს ციხედ – გარკვეული სახის მექანიზმად, რომელიც თითქოს ავტომატურად მუშაობს და საიდანაც გამოღწევა თითქოს არ შეგვიძლია. შესაძლოა ადამიანები არასოდეს ყოფილან ასე უიმედო და პასიური ენასთან მიმართებით, რომელიც სულ უფრო მეტად განსაზღვრავს მათ.

ბუნების ფილოსოფია

წარსულში მეცნიერება გაიგივებული იყო „ბუნების ფილოსოფიასთან“. გოეთეს მსგავსი ადამიანები, რომლებიც დაინტერესებული იყვნენ მეცნიერებით, ფილოსოფიით და ლიტერატურით, ყველაზე გონიერებად ითვლებოდნენ. დღეს მეცნიერება იქცა

მუდმივად მზარდ სპეციალიზაციად, რამაც, ეჭვგარეშეა, გამოიწვია უზარმაზარი ტექნო-მეცნიერული წინსვლა. ეს ორი რადიკალურად განსხვავებული გზაა. რას ურჩევდით ახალგაზრდა სტუდენტებსა და მკვლევრებს, რომლებიც დღეს დგამენ თავიანთ პირველ ნაბიჯებს მეცნიერულ სამყაროში?


- დასავლეთის ისტორიაში მნიშვნელოვანია ის მომენტი, როცა ფილოსოფია მიხვდა, რომ მას აღარ შეეძლო მეცნიერების კონტროლი, რადგან მეცნიერებამ მისგან თავი გამოიხსნა. ეს ცხადად ჩანს კანტთან. მისი ფილოსოფია წარმოადგენს უკანასკნელ მცდელობას კავშირის აღდგენისა მეცნიერებასთან, რომელიც ჩაფიქრებულია, როგორც, გამოცდილებისათვის საზღვრების დაწესების შემძლე მოძღვრება ცოდნაზე. არა მგონია, რომ დღეს რამე მსგავსი მიზანი შეეფერებოდეს ფილოსოფიას. კავშირი აზრსა და მეცნიერებას შორის არ თამაშდება ცოდნის დონეზე. ფილოსოფია არ არის მეცნიერება, არც მისი განსაზღვრაა შესაძლებელი ცოდნის დოქტრინის მეშვეობით. ფაქტობრივად, მეცნიერებამ აჩვენა, რომ მას ეს საერთოდ არ სჭირდება. ფილოსოფია ყოველთვის ეთიკას ეხება. ის ყოველთვის გულისხმობს სიცოცხლის ფორმას. ახლა ეს ჭეშმარიტია თითოეული ადამიანისათვის და, მაშასადამე, ყველა მეცნიერისთვის, რომელთაც ხელი არ ჩაუქნევიათ ადამიანად ყოფნაზე. რა თქმა უნდა, მეცნიერებმა აჩვენეს, რომ ისინი მზად არიან უსინდისოდ შესწირონ მსხვერპლად ეთიკა მეცნიერების ინტერესებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენ ვერ ვნახავდით

ცნობილი მეცნიერების მიერ ნაცისტურ ბანაკებში გაგზავნილებზე ჩატარებულ ექსპერიმენტებს. შევახსენებდი ახალგაზრდა ადამიანს, ისე გადაედგას პირველი ნაბიჯები მეცნიერებაში, რომ არასოდეს შესწიროს მსხვერპლად ეთიკური პრინციპები საკუთარ ნებას ცოდნისადმი.

წინააღმდეგობა

თქვენ საუბრობდით წინააღმდეგობის ახალი ფორმების დაფუძნების საჭიროებაზე. რას გულისხმობთ? შეგიძლიათ მაგალითები დაგვი-სახელოთ?

- მე ფილოსოფოსი ვარ და არა - სტრატეგი. რა თქმა უნდა, გამოსავლის მოძებნისაკენ პირველი ნაბიჯია სიტუაციის ცხადი აღქმა. მხოლოდ იმის დამატება შემიძლია: არ მჯერა, რომ დღეს არსებული გამოსავალი, როგორც დიდხანს მიიჩნეოდა, აუცილებლად გადაურჩება ძალაუფლების მოპოვებისათვის გამართულ ბრძოლას. არ არსებობს კარგი ძალაუფლება და, აქედან გამომდინარე, არც კარგი სახელმწიფო. ჩვენ მხოლოდ ის შეგვიძლია, რომ უსამართლო და ყალბ საზოგადოებაში მოწმედ დავუგეთ სამართლიანობისა და ჭეშმარიტების არსებობას. ჩვენ მხოლოდ ის შეგვიძლია, რომ შუა ჯოჯოხეთში დავემონწმით ცათა სასუფეველს.



კრიტიკული პოლიტიკის
პლატფორმა

FRIEDRICH
EBERT 
STIFTUNG